

501
1982

სსრ კავკასიუ სოციალისტური მდგრადი სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР


1.(23)

658003600600 № 1 (123) НАУЧНЫЕ ТРУДЫ

საქართველოს სამთო-საგუციო გერანტება ГОРНОЕ ЛЕСНОЕ ХОЗЯЙСТВО ГРУЗИИ

თბილისი — 1982.

სსრ კავკისი ცოდნის აღმნიშვნის სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР
საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისამარტინი 1963 დღი
სახოვლო-სამეურნეო ინსტიტუტი ბეჭედი 1963
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт



სამინისტრო გამოცდი, № 1 (123) НАУЧНЫЕ ТРУДЫ

საქართველოს სამომ-საგყით მიწამოება
ГОРНОЕ ЛЕСНОЕ ХОЗЯЙСТВО ГРУЗИИ

634.92

სამუჯგურო გუბერნია.



განხილულია სატუკო-სამეცნიერო ფაზოდატის-
სამეცნიერო საბჭოს სხდომაში და მოწოდებულია პრო-
მის წილები ღრმიშის ორგვენისანი საქართველოს სა-
სოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
მიერ

Рассмотрен на заседании Ученого совета
лесохозяйственного факультета и одобрен Уче-
ным советом Грузинского ордена Трудового
Красного Знамени сельскохозяйственного ин-
ститута.

მთავარი რედაქტორი აკად. ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: პროფ. ი. აბაშიძე, დოც. შ. აცციაური,
ქ. ბობოხეძე (პ/მგ. მდივანი), დოც. ა. ბერიზაშვილი, პროფ. ვ. დარაბვი-
ლიძე, პროფ. კ. თარგამაძე (მთ. რედ. მოადგილე), პროფ. პ. მეტრეველი.

Главный редактор акад. ВАСХНИЛ В. И. Метревели

Редакционная коллегия: проф. Я. Л. Абашидзе, доц. Ш. А. Апшиури, доц. А. Г. Берозашвили, Дж. П. Бобохидзе (отв. секретарь), проф. В. Ф. Дарахвелидзе, проф. П. А. Метревели, проф. К. М. Таргамадзе (зам. гл. редактора).

საქართველოს მინისტრის დროის მინისტრის მინისტრის

სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გარემო, № 1 (123), 1982

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАКА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123) 1982

УДК 630

ი. აბაშიძე

უსახავის მიზანობრივი და დაფინანსირების თავისებულებას
საქართველოში

17390

უხრავი უძველესი ჩელიქტური ჯიშია, რომელიც შემორჩია კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ უხრავი (*Ostrya carpinifolia* Scop.) დიდი ხანია ცნობილია, როგორც ძვირფასი ტყის ჯიში, დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. რადგანაც აღნიშნული ჯიში პერსპექტულად მიგვაჩნია საქართველოს ზოგიერთი გარემო პირობებისათვის, ამიტომ ქვემოთ მოგვყენე ჩვენ მიერ კვლევის შედეგად მიღებული მასალის მოკლე ანალიზი, რომელიც განსაზღვრულ სარგებლობას მოუტანს სატყეო და მწვანე მეურნეობების პრაქტიკულ საქმიანობას.

უხრავი ტანდაბალი, ფოთოლცვენია ხეა ან ბუჩქი, რომელიც უფრო ხშირად შერეულია ტყის სხვა ჯიშებში — სუფთა და გუფებებს იშვიათად ჰქმნის. მისი ფოთლები მოგრძოკვერცხისებრია, წაწვეტილი, კიდე-ებზე ორმაგხერხებილა, ყუნწინი, ლია მწვანე ფერის, მათი განწყობა ყლორტებზე მორიგეობითია.

ერთსახლიანი მცენარეა, ერთსქესიანი ყვავილებით — მამრობითი გრძელი, ხოლო მდედრობითი მოკლედ მჭადა ყვავილედშია შეკრებილი. ნაყოფი წვრილი კაკალია კეერცხისებრწაწვეტილი ფორმის, მოთავსებული საბურკელში (პარკუში).

უხრავი საქმიანი მყარი მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდება, ესეც მოწმობს მის ჩელიქტურობას. საქართველოში დღემდე ცნობილია მისი მხოლოდ ერთი ვარიაცია — (*Ostrya carpinifolia* var. *lanceolata* Kem. Nat.) აღმოჩენილი მდ. ლაგანურაზე (ლეჩეუმი) 1929 წელს ლ. ქემულარიას მიერ. ჩვენ მიერ საქართველოს 25 ადგილას აღებული მასალიდან ირკვევა, რომ გეოგრაფიულ მრავალეობას (კერტიკალური და პორიზონირებული მდ. ლაგანურაზე) მოიძებნენ. მაგრავი არ მოიძებნენ, მაგრავი არ მოიძებნენ.

ტალური) კანონზომიერი გავლენა არა აქვს მის მორფოლოგიურ ნიშნებზე (ფოთლები, ფოთლის ყუნწი და სხვა). მხოლოდ იქ, ქადაც ჭარიანი წყლით საქმაოდ უზრუნველყოფილია, ამ მორფოლოგიურ წრმუნულ ჟაფრ დიდე საგრძნობლად მატულობს.

უხრავის გვარის ოთხივე სახეობას მსოფლიოში და მათ შორის თვით რცხილფოთოლა უხრავსაც (*Ostrya carpinifolia* Scop.) აზეალის წყვეტილობა ახასიათებს, რაც მის რელიქტურობას და წარსულში ფართო გავრცელებას ადასტურებს ისევე, როგორც მისი ნაპოვნი ნამარხების არსებობა.

საქართველოში რცხილფოთოლა უხრავის ბუნებრივი გავრცელების ზედა საზღვარი აღინიშნება 1200—1400 მ ზ. დონიდან (დაბა ლიბანი), ქვედა საზღვარი კი 100—150 მ (გავრიფშის ხეობა), ხოლო აღმოსავლეთისაკენ გავრცელების საზღვრად მიჩნეულია სოფ. კოდა (თეთრი წყაროს რაიონი) და ლაბახვის ხეობა.

უხრავის თესლი წვრილია, 1 კგ შეიცავს საშუალო 107525 თესლს, შერჩეული მსხვილი თესლი — 95730 ცალს, ხოლო წვრილი — 140845 ცალს. თესლების ასეთი სიმრავლე კილოგრამში გამოწვეულია მათი პართონულკულობით. ჩვენი მონაცემებით პართონულკული თესლების რაოდენობა 70—75% აღწევს. მართებული არ არის ი. ვაჩინაძის ცნობა, რომ უხრავის თესლების 90%-ზე მეტი პართონულკულია.

მიუხედავად ზოგი მკვლევარის [5] მოსაზრებებისა, რომ უხრავი „აშეარა ჩრდილის ჭიშია“, შეიძლება იგი უფრო სინათლის მომთხვევნად ჩაითვალოთ, რადგანაც კორომებში ბუნებრივი განახლება უფრო ღია და განათებულ აღვილებშია ჩვენ მიერ შემჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ უხრავი მთებში უფრო ქვედა სარტყლის პირობებშია ბუნებრივად გავრცელებული, საქმაოდ სიცივის ამტანია. ამის დამადასტურებელია ნალჩივის — 30° უხრავის არსებობა და ავრეთვე ჩვენს მთებში მისი 1400 მ-ზე გავრცელება.

მართალია, უხრავი ქსეროფიტ მცენარეებს მიეკუთვნება, მაგრამ იგი ძალიან კარგად იზრდება საშუალო სინესტის (მეზოფილურ) პირობებში. როგორც ჩვენს ტყეებში უხრავის არსებობა გვიჩვენებს, იგი ღრმა ნიადაგებიდან განდევნილია უფრო მომთხვევნი და ჩრდილის ჭიშებით (ნაძვი, სოჭი, წიფელი, ბზა და სხვა), რომელებთანაც მას ამჟამად ზოგ აღვილებში კიდევ შეეხვდებით. მომავალში უხრავი ამ აღვილებიდანაც საბოლოოდ განიდევნება. უხრავი გვხვდება მეტწილად, როგორც კირნარ, ისე უკირო და კირის მცირე შემცველობის ნიადაგებზე.

მართალია, უხრავს ხშირად ტყის მრავალი სახეობის მერქნიან მცენარეებთან კავედებით, მაგრამ არ გვხვდება ტყის მრავალ ტიპში. იგი გვხვდება მირითადად ტყის შემდეგ ტიპებში:

- უხრავიანი ნაირბალახოვანი საფარით (აერთიანებს ტაქტებს სის, წილულით, ქართული ნეკერჩხლით, უთხოვარით, ბზით და სხვა);
- უხრავიანი წიგანით;
- უხრავიანი მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ქვერყულშეფრისშესაბამის, წყავი, იელი, თხილი და სხვა).

უხრავი თავისი ტექნიკური თვისებებით შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მაგარ და მკვრივმერჩნიან ჯიშად საბჭოთა კავშირის ჯიშებში. საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში არ არის არც ერთი ჯიში, რომელსაც ახასიათებდეს მერქნის ასეთი მექანიკური თვისებები (კოეფიციენტები). უხრავის მერქნის იგებულება რცხალის მერქნის მსგავსია იმ განსხვავებით, რომ არა აქვს ცრუ განიერი რადალური სხივები, რითაც იგი გადალებით უკეთესი მექანიკური თვისებებით ხასიათდება, ვიდრე რცხალისა.

უხრავის მერქნის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე ნიადაგობრივი პირობების გავლენის შესასწავლად საველ მასალა (მერქნის ნიმუშები) ავილეთ ახალციხის სატყეო მეურნეობის უხრავის კორომებში. მიღებული მასალის ანალიზის შედეგები მოყვანილია ქვემოთ ცხრილში.

ნიადაგური პირობები	რეზის სახე	რეზის სახე	რეზის სახე	შემ. კოეფიციენტი		სიმტ. ლუ. კგ/სმ	სიმტ. ლუ. მგ/სმ	სიმტ. ლუ. მგ/სმ	სიმტ. ლუ. მგ/სმ		
				საზობრივი	კენ.						
ღრმა ნიადაგი	1,9	0,927	0,480	0,278	0,154	828	1455	1372	1120	970	856
თხელი „—“	1,65	0,836	0,508	0,299	0,168	767	1669	1517	966	840	777
საშტ. დაქ. ზრდ. „—“	1,54	0,799	0,544	0,237	0,155	777	1627	1573	1065	•00	850
ჩრდ. დაქ. ზრდ. „—“	1,66	0,798	0,467	0,242	0,154	810	1551	1522	1160	1040	975

როგორც ირკვევა, უხრავის მერქნის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე გავლენას ახდენს ნიადაგური პირობები. მერქანი შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება ღრმა, ვიღრე თხელ ნიადაგებში. ეს განსხვავება მერყეობს 6—11% ფარგლებში, მაგრამ სიმტკიცის ზღვარი სტატიკურ ღუნდაზე ტანგენტალური (15%-მდე) და რადიალური (10%) მარატულებით მეტია თხელი ნიადაგების პირობებში.

განსაკუთრებული სიმძიმის, სიმაგრისა და მით უმეტეს დიდი სიბლანტის გამო უხრავის მერქანი, რომელიც ხშირად შეცდომით ცნობილია, როგორც ბაკაუტი, უახლოვდება ბზის მერქანს და შეიძლება გამოყენებუ-

ლი იქნეს, როგორც მისი შემცველელი კიბილანებად და მათი ხანგრძლივობის გამო მეტად ფასობს, ვიდრე ბზის მერქანი.

უხრავი მორწყვისა და კარგი აგროტექნიკის შემთხვევაში კულტურული სის დენდროპარკი) ხასიათდება სწრაფი ზრდით, იძლევა უფრო მაღალი მეტეოროლოგიური დონის და შეკრულ ლამაზ ვარჩს. მერქნის კარგი ღირსებისა და ამ აღნიშნული ოვისებების გამო იგი, უდავოდ, უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს ტყის კულტურების გასაშენებელ ჭიშთა სიაში. ამავე დროს იგი უხვი, ლამაზი მდედრობითი და მამრობითი ყვავილების, ლამაზი მოყავის-ფრთ სვისმაგვარი ნაყოფებისა და ლამაზი ვარჩის გამო რეკომენდებულია ჩვენ მიერ საქართველოს გამწვანების მეურნეობაში (ბალ-პარკების მშენებლობაში).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა — Л и т е р а т у р а

1. ი. ვაჩნაძე. უხრავის (*Ostrya carpinifolia* Scop.) ბიოლოგიური თვისებები, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, 1962.
2. გ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.
3. А. А. Гроссгейм. Флора Кавказа, т. 3, Тбилиси — Баку, 1945.
4. Л. М. Кемулария — Натадзе. Новые данные по флоре Грузии. Труды Тбилисского института ботаники, т. 2, 1937.
5. С. Я. Соколов. Хмелеграб. Труды ботанического института им. Комарова. АН СССР. «Растител. сырье», М. — Л., 1952.
6. Я. С. Медведев. Деревья и кустарники Кавказа, Тифлис, 1919.
7. О. В. Соколова. Хмелеграб. Деревья и кустарники СССР, т. II, М. — Л., 1951.

საქართველოს მინისტრის დიმიტრი გრიშაძის ორგანიზაციის
სამუშაო-სამუშაო ინსტიტუტის გალერეა, № 1 (123), 1982
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123), 1982

УДК 630

3. მინისტრი

კვეთურ-ამორჩივითი პრა ფიცვარება და რცხილნარება

როგორც ჩვენ მიერ აღირე გამოქვეყნებულ სტატიაში (1981) აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ ტყეებში მოქმედი ჭრის წესების (1980) შესაბამისად, ქარქუევადი ჭიშების (სოჭი, ნაძვი, წიფელი) კორომებში ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა 25°-მდე დახრილობის ფერდობებზე ტარდება, ქარგამძლე ჭიშების (ფიტვი, რცხილა) კორომებში კი 20°-მდე დახრილობის ფერდობებზე. რაც არასწორად მივიჩნიეთ და საჭიროდ ჩავთვალეთ ჭრის მოქმედ წესებში გარევეული კორქეტირება მოგვეხდინა. ამასთან დაკავშირებით იმავე სტატიაში (1980) წამოვაყენეთ წინადადება, რომ წიფლის სოჭის და ნაძვის კორომებში ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა უნდა ტარდებოდეს 15°-მდე დახრილობის ფერდობებზე. რათა არ შეიქმნეს ქარქუევალობის და სხვა უარყოფითი მოვლენების (ნიადაგის ერობია, ბუნებრივი განახლების პროცესის შეფერხება, ტყის გარემოს გამაუმჯობესებელი ფუნქციის მოშლა და სხვ.) განვითარების საფრთხე. ქარგამძლე ჭიშების (ფიტვი, რცხილა) კორომებში კი ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა შეიძლება ტარდებოდეს 25°-მდე დახრილობის ფერდობებზე.

ტყის ჭრის მოქმედი წესების (1980) შესაბამისად ფიტვნარებში „ფანჯრების“ მოწყობისა და მათი გაფართოების თითოეული ჭერის დროს იჭრება საშუალოდ საერთო მარაგის 25%, ანუ ჭრის წესები ითვალისწინებს ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრის ჩატარებას 4-ჯერად (ფანჯრების მოწყობის ჩაფლით), 25—30-წლიანი განახლების პერიოდით.

ჩვენი წინადადება ფიტვნარებში ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრის ჭერადობასთან და განახლების პერიოდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შემდეგია:

0,6—0,7 სიბშირის ისეთ კორომებში, რომლებშიც მოზარდის ჯგუფურიანი ფანჯრები არსებობს, უნდა ტარდებოდეს ხუთერადიანი ჭრა ყოველ 8—10 წელში განმეორებით, ანუ 32—40-წლიანი განახლების პერიო-

დით. უფრო მაღალი სიხშირის (0,8—1,0) ფრევნარებში კი მისამართონ ლია 7-ჯერადიანი ჯგუფურა-მორჩევითი პრის ჩატარება, ყვრების გავლენა 8—10 წელში განმეორებით ანუ 48—60-წლიანი ხანგრძლივობაზე განახლებითი პერიოდით.

საქართველოს სსრ ტუებისათვის დამტკიცებული შთავირი სარგებლობისა და ტყის აღდგნითი კრის წესების (1980) შესაბამისად, რცხილნარებში „ფანჯრების“ მოწყობის დროს საერთო მარაგის 25%, ხოლო მათი გაფართოების თითოეული ჭერის დროს 25—40% იჭრება. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯგუფურ-ამორჩევითი კრა რცხილნარებში ტარდება გაცილებით დაჩქარებით, ვიდრე სხვა ჯიშთა კორომებში. ამიტომაცაა, რომ კრის წესები რცხილნარებში ჯგუფურ-ამორჩევითი კრისათვის მხოლოდ 15—20-წლიან განახლებით პერიოდს ითვალისწინებს.

ჩვენი წინადადება რცხილნარებში გვუფურ-ამორჩევითი კრის ჯერა-დობასთან და განახლებითი პერიოდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შემდეგია: 0,6—0,7 სიხშირის რცხილნარებში (მოზარდის გვუფებიანი ფანჯრებით) უნდა ტარდებოდეს 5-ჯერადიანი გვუფურ-ამორჩევითი კრა ჯერების ყოველ 7—10 წელში განმეორებით ანუ 28—40-წლიანი განახ-ლებითი პერიოდით. უფრო მაღალი სიხშირის (0,8—1,0) რცხილნარებშია უნდა ტარდებოდეს 7-ჯერადიანი გვუფურ-ამორჩევითი კრა ჯერების ყოველ 7—10 წელში განმეორებით ანუ 42—60-წლიანი განახლებითი პე-რიოდით.

ძირკვებიდან მონაცემის მიღების თავიდან აცილების მიზნით ჭრის უფრო გრძელი ჩატარებასთან ერთად ფოთლოვანი ჯიშების ძირკვები უნდა გაიქმერებოს.

შეუცურ-ამორჩევითი კრის 5 ჯერად ჩატარების შემთხვევაში კრის ინტენსიობა პირველ ჯერზე შეადგენს საწყისი მარაგის 20%-ს, მეორე ჯერზე ამ ჯერის ჩატარებამდე ასესქული მარაგის 25%-ს, მესამე ჯერზე, მეორე ჯერის შემდეგ დარჩენილი (პლუს 7—10 წლის ნამატი) მარაგის 30%, მეოთხე ჯერზე—მესამე ჯერის შემდეგ დარჩენილი მარაგის 50% და მეხუთე ჯერზე—დარჩენილ მარაგს მთლიანად.

0.8 და უფრო მაღალი სიხშირის ფიქვნარებში და რცხილნარებში ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა ჩატარდება რა 7 ჯერად, ყოველ ჭერზე ჭრის ინტენსიონის გაიანგარიშება ჭერის ჩატარებამდე არსებული მარავის ჩახარებელი ჭერების რიცხვზე გაყოფით. მის მიხედვით ჭრის ინტენსიონი შეადგენს: I ჭერზე საწყისი მარავის 14—15%-ს, II ჭერზე ამ ჭერის ჩატარებამდე არსებული მარავის 16—17%-ს, III, IV, V და VI ჭერებზე, შესაბამისად, ამ ჭერების ჩატარებამდე არსებული მარავების 20, 25, 33 და 50%-ს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა — Л и т е р а т у р а



1. პ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ჭგულურ - ამორჩევითი კრა წიფლისძინებულის წერტილში ქართველი კის ტყეებში. შრომის წითელი დროშის ორდენოსამი მუზეუმის გენუსტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. 117, 1981.
 2. საქართველოს სსრ ტყეებში მთავარი სარგებლობის და ტყის აღდგენითი კრის წესები. თბილისი, 1980.
-

საქართველოს უნივერსიტეტის დიპლომი ქართველის ორგანიზაციის
სახოტლისავითი ინსტიტუტის შროვითი, № 1 (123), 1983.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАКА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123) 1983

УДК 634.9.502.7

3. დარჩევის

მთის წიფლნარებში ბუნებრივი განახლება ტყის აღდგენის ერთ-ერთ ინტენსიური საშუალებაა, რაღაც ტყის ხელოვნური გაშენება მთაში გერ კადევ დიდ სიძნელეებთანა დაკავშირებული (მექანიზაციის გამოყენების დაბალი დონე, უგზოობა, შრომითი და ფულადი რესურსების დიდი დანახარჯები და სხვ.). ამისთან, მთაში ტყის ბუნებრივი განახლება გარემო პირობების დიდ ნაირგვარობასთანა დაკავშირებული.

ს. ბერგის [5] თანახმად მთის ტყები წარმოადგენს განსაკუთრებულ ეკოლოგიურ სისტემას და განედის კანონობრივებანი მთაში ვერტიკალურს მიესადაგება, ესე იგი ჰავის ცვალებადობა განედის ყოველ 111 კმ მთაში ვერტიკალურის ყოველ 100 მ უდრის. ასეთ მოქლე მანძილზე მთის პირობებში ეკოლოგიურ ფაქტორთა (სინათლე, სითბო, ტენი და სხვ.) ცვალებადობას იძლიერებს ავტოთვე ფერდობის ექსპოზიცია და დახრილობის სიმკვეთრე. ყველა ეს ფაქტორი ერთად და ცალ-ცალკე აღებული ტყის ბუნებრივი განახლების პროცესებს სულ სხვადასხვაგვარად წარმართავს. ამიტომ, ტყის ბუნებრივი განახლების შესწავლას მთის პირობებში მეტად დიდი ორორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რასაც აღასტურებს ამ საყითხისადმი მიძღვნილი მრავალი გამოკვლევა—ვ. პოვარნიცინის [10], ს. სოკოლოვის [12], ა. დოლუხანვის [7], ლ. პრილიპკოს [11], ლ. სოსნინის [13], ი. გრუძინსკაიას [6], ი. თუმაჯანოვის [14], ა. ორლოვის [19], პ. ლვოვის [18], გ. იაროშენკოს [15], ვ. გულისაშვილის [1], ნ. მარგველაშვილის [2], ვ. მირზაშვილის [13], გ. წინამძღვრიშვილის [4] და სხვ.

წიფლნარებში ბუნებრივი განახლება შევისწავლეთ მეტყევეობაში ცნობილი მეთოდით დუშეთის სატყეო მეურნეობის ფასანაურის სატყეოში. ვიღებდით სანიმუშო ფართობებს, ვახასიათებდით მის მეტყევეობით ნიშნებს, აღვრიცხავდით ხეებს ჭიშებისა და სისქის საფეხურების მიხედ-

ეით: განახლებას უსწავლობდით სანიმუშო ფართობებზე აუდეს უნდა შემის საღრიცხვეო ბაქნებზე, მიღებულ ციფრობრივ მასალას ერთ ას ფრთობზე გადაყანით საშუალო შეწონილ მაჩვენებლებსუ კუჭურული ვ- გულისაშეილის ტყის ბუნებრივი (თესლით) განახლებულ კუჭურული ვ- განახლების შეფასებისათვის ვიხელმძღვანელეთ ორი მონაცემით:

ა) აღმონაცენისა და საიმედო მოზარდის ჯამით (როგორც ეს ბუნებრივი განახლების სკალითაა გათვალისწინებული) და ბ) მათ შორის საიმედო მოზარდის ჯამით.

სანიმუშო ფართობები აღებული იყო ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე — 1000 — 1250 მ, 1250 — 1500 მ და ზევით. სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე — 15—25°-მდე, 26—35°-მდე და კორომის სხვადასხვა სიხშირეში — 0,4 — 0,5, 0,6—0,7, 0,8—0,9.

სანიმუშო ფართობებზე სხვადასხვა სიხშირის კორომებში ბუნებრივი განახლების ფაქტობრივი მასალები (საშუალო შეწონილი) წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

წილის ბუნებრივი განახლება სხვადასხვა სიხშირის კორომებში
(საშუალო შეწონილი 1 ჰა-ზე თას კალობით)

აღმონაცენი და სიმედო მოზარდი	სიხშირე	თას შორის სამედო მოზარდი
	0,4—0,5	
13,4 (8 სანიმუშო ფართობის საშუალო მონაცემები)		3,1
	0,6—0,7	
14,1 (20 სანიმუშო ფართობის საშუალო მონაცემები)		5,6
	0,8—0,9	
14,4 (20 სანიმუშო ფართობის საშუალო მონაცემები)		3,8

როგორც ცხრილიდან ჩანს კორომის სიხშირის მატებასთან ერთად იზრდება წილის აღმონაცენისა და საიმედო მოზარდის რაოდენობა $0,4—0,5 = 13,4$; $0,6 — 0,7 = 14,1$; $0,8 — 0,9 = 14,1$ ამასთან აღსანიშნავია, რომ — განახლების საერთო ჯამიდან საიმედო მოზარდი ყველაზე მეტია $0,6—0,7$ სიხშირის კორომში ($0,4—0,5 = 3,1$; $0,6—0,7 = 5,6$, $0,8 — 0,9 = 3,8$).

კორომის სიხშირეებთან დაკავშირებით სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე წიფლის ბუნებრივი განახლების საშუალო შეწონილი მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ერთობული
პირდაღის მეტა
ცხრილი 2

წიფლის ბუნებრივი განახლება სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე
(საშუალო შეწონილი 1 ჰა-ზე ოთას ცალობით)

15—25°

26—30

აღმონაცენი და საიმედო მოზარ- დი ათასებში	მათ შორის საიმედო მოზარდი ათასებში	სიხშირე	აღმონაცენი და საიმედო მოზარ- დი ათასებში	მათ შორის სა- იმედო მოზარდი
13,7	2,2	0,4—0,5	13,5	2,6
(2 სანიმუშო ფარ. საშ. მონაც.)		0,6—0,7	(6 სან. ფარ-ბის საშ. მონაც.)	
13,2	4,9		15,1	5,2
(9 სანიმუშო ფარ-ბის საშ. მონა- ცებები)		0,8—0,9	(11 სან. ფარ-ონის საშ. მონა- ცებები)	
11,5	3,3		16,4	4,2
(12 სან. ფარ. საშ. მონაცემ.)			(17 სან. ფარ. საშ. მონაცემ.)	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფერდობის დახრილობის 15 — 25°-ზე კორომის სიხშირის მატებასთან ერთად მცირდება აღმონაცენისა და საიმედო მოზარდის ჯამი ($0,4 - 0,5 = 13,7$; $0,6 - 0,7 = 13,2$; $0,8 - 0,9 = 11,5$). ამ შემთხვევაშიც საიმედო მოზარდის ჯამის მიხედვით უკეთესი სურათია $0,6 - 0,7$ სიხშირეში ($0,4 - 0,5 = 2,2$; $0,6 - 0,7 = 4,9$; $0,8 - 0,9 = 3,3$). ამავე ცხრილიდან ფერდობის დახრილობის ($26 - 35^{\circ}$) პირობებში პირუკუ სურათი გვაქვს, სიხშირის მატებასთან ერთად იზრდება აღმონაცენისა და საიმედო მოზარდის რაოდენობა ($0,4 - 0,5 = 13,5$; $0,6 - 0,7 = 15,1$; $0,8 - 0,9 = 6,4$). საიმედო მოზარდის ჯამის მიხედვით განახლება უკეთესია $0,6 - 0,7$ სიხშირეში ($0,4 - 0,5 = 2,6$; $0,6 - 0,7 = 5,2$; $0,8 - 0,9 = 4,2$).

კორომის სიხშირესთან დაკავშირებით ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე წიფლის ბუნებრივი განახლების საშუალო შეწონილი მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

წიფლის ბუნებრივი განახლება ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე
(საშუალო წერტილი 1 პაზე ათას კალიბრი)



1000—1250		1250—1500	
აღმონაცენტი და სამეცნიერო მოზარდი	მთა შეარის საინტენი მოზარდი	სისხირე	აღმონაცენტი და სამეცნიერო მოზარდი
18,2	0,0	0,4—0,5	11,8 4,2
(2 სან. ფართ. საშ. მონაცემები)			(6 სან. ფართ. საშ. მონაცემები)
15,6	6,3	0,6—0,7	14,3 4,7
(8 სან. ფართ. საშ. მონაცემები)			(12 სან. ფართ. საშ. მონაცემები)
11,6	1,8	0,8—0,9	16,1 5,4
(12—სან. ფართ. საშ. მონაცემები)			(17 სან. ფართ. საშ. მონაცემები)

როგორც ცხრილიდან ჩანს ზღვის დონიდან 1000 — 1250 მ სიმაღლეზე კორომის სიხშირის მატებასთან ერთად წიფლის ბუნებრივი განახლების რიცხობრივი მაჩვენებელი მცირდება ($0,4—0,5 = 18,2$; $0,6—0,7 = 15,6$, $0,8—0,9 = 11,6$). სამეცნიერო მოზარდის ჯამის მიხედვით განახლება უკეთესია $0,6—0,7$ სიხშირეში ($04—05 = 00$; $06—07 = 6,3$; $0,8—0,9 = 1,8$). ზღვის დონიდან 1250—1500 მ სიმაღლეზე წიფლის ბუნებრივი განახლების რაოდენობა სიხშირის მატებისას იზრდება ($0,4 — 0,5 = 11,8$; $0,6 — 0,7 = 14,3$; $0,8 — 0,9 = 16,1$). სამეცნიერო მოზარდის ჯამის მიხედვით განახლება უკეთესია $0,8—0,9$ სიხშირეში ($0,4 — 0,5 = 4,2$; $0,6 — 0,7 = 4,7$; $0,8 — 0,9 = 5,4$).

კორომში ბუნებრივი განახლების პროცესების შესწავლა ტრადიციულად დაკავშირებულია $0,3—0,4$; $0,5—0,6$; $0,7—0,8$ სიხშირესთან; ჩვენ ამ წესს გადავუხვეოთ და განახლება შევისწავლეთ $0,4—0,5$; $0,6—0,7$; $0,8—0,9$ სიხშირეში, ამიტომ საინტერესოა ამ სიხშირის ჯგუფებში ბუნებრივი განახლების ცნობების შედარება ახალ ვარიანტთან და წიფლის ბუნებრივი განახლებისათვის სიხშირის ოპტიმუმის დადგენა (ცხრ. 4).

როგორც ცხრილიდან ჩანს

I (ძველი) ვარიანტის მიხედვით წიფლის ბუნებრივი განახლების ოპტიმუმია $0,5—0,6$ სიხშირეში;

ნოტის ბუნებრივი განახლება კორომის ხიხშირის სხვადასხვა ჩატარები
(სპეციალ შეწონილი, 1 ქათას კალაბით)



მისამართი
ტექნიკური

I ვარიანტი (ძველი)

0,3—0,4	0,5—0,6	0,7—0,8
აღმონაცენტი და საიმედო მოზარდი	საიმედო მოზარდი	აღმონაცენტი და საიმედო მოზარდი
20,4	3,8	14,6

II ვარიანტი (ახალი)

0,4—0,5	0,6—0,7	0,8—0,9
აღმონაცენტი და საიმედო მოზარდი	საიმედო მოზარდი	აღმონაცენტი და საიმედო მოზარდი
13,4	3,1	14,1

II (ახალი) ვარიანტის მიხედვით, როგორც აღმონაცენტისა და საიმედო მოზარდის, ასევე საიმედო მოზარდის ჭამის მიხედვით წიფლის ბუნებრივი განახლების ოპტიმუმი კორომის 0,6—0,7 სიხშირეშია.

ამ ვარიანტების საიმედო მოზარდის ურთიერთშედარებით იქვევევა რომ ძველ ვარიანტში კორომის 0,5—0,6 სიხშირეში საიმედო მოზარდის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია (4,6), ვიდრე ახალ ვარიანტში (5,6). აქედან დასკვნა, ახალი ვარიანტის მიხედვით კორომის 0,6—0,7 სიხშირეში, გარემო ფაქტორთა კომპლექსი (კლიმატურ-ედაფური პირობები და სხვ.) უფრო მეტად უწყობს ხელს აღმონაცენტის საიმედო მოზარდში გადასვლას, საბოლოოდ კი საიმედო მოზარდის სიუბვე ტყის წარმოქმნის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

დასკვნა

1. მთის რეგიონის წიფლნარებში წიფლის ბუნებრივი განახლების ოპტიმუმი 0,6—0,7 სიხშირის კორომებშია.

2. ბუნებრივი განახლების შეფასებისას უპირატესობა უნდა მოგეხს
საიმედო მოზარდის ჯამის მიხედვით შეფასებას აღმონაცენის სიუკისა
და საიმედო მოზარდის სიმცირის შემთხვევაში.

ეროვნული
ბიბლიოთი

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი

1. დაცვითი საექსპლოტაციო კატეგორიის მთის წიფლნარები, მეურ-
ნეობის რაციონალურად წარმოებისათვის უმჯობესია დაიყოს ორ ზონად:
ა) ქვედა ზონა 1000—1250 მ; ბ) ზედა ზონა 1250—1500 მ და ზევით.

2. მთის რეკონსის წიფლნარებში და ამ ჯიშით გაბატონებულ კორო-
მებში უპირატესობა უნდა მოეცეს ნებით-ამორჩევით ჭრას.

ნებით-ამორჩევითი ჭრა უნდა ჩატარდეს არანაკლებ 0,6—0,7 სიხში-
რის კორომებში 30°-მდე დახრილობის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე.
ჭრის განმეორების ვადა განისაზღვროს ათი წლით, ჭრის ინტენსივობა
დაწესდეს:

ა) ქვედა ზონა (ზღვის დონიდან 1250 მეტრამდე) 0,6—0,7 სიხშირის
კორომებში—7—10%; 0,8—0,9 სიხშირეში—11—15%.

ბ) ზედა ზონაში (ზღვის დონიდან 1250—1500 მ და ზევით) 0,6—0,7
სიხშირის წიფლნარებში 5%-მდე; 0,8—0,9 სიხშირეში—10%-მდე.

3. ბუნებრივი არახელსაყრელი პირობებისაგან გარემოს დაცვის მიზ-
ნით სასურველია მთის წიფლნარებში მეურნეობა დაწესდეს მხოლოდ
30°-მდე დახრილობის ფერდობებზე.

ლიტერატურა — Литература

1. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი. აღმოსავლეთ საქართველოს პირველყოფილი
ხელუხლებელი წიფლის ტყეების ზოგიერთი თავისებურება, სა-
ტყეო ინსტიტუტის შრომები ტ. I, 1949.
2. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. წიფლის განახლება აღმოსავლეთ საქართ-
ველოს ტყეებში. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 33, 1950.
3. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი. წიფლის ბუნებრივი განახლება ჭრებთან დაკავში-
რებით. თბილისის სატყეო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1949.
4. გ. წ ი ნ ა მ ძ ლ ვ ი შ ვ ი ლ ი. კახეთის წიფლნარების ბუნებრივი განა-
ხლება ცალკეული ტყის ტიპების მიხედვით. თბილისის სატყეო
ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII.
5. Л. С. Берг. Природа СССР. М., 1965.
6. И. А. Грудзинская. Широколиственные леса предгорий Северо-Западного Кавказа. — В книге «Широколиственные леса Северо-Западного Кавказа». М., Изд-во АН СССР, 1953.
7. А. Г. Долуханов. Естественное возобновление буков в основ-



- ных типах бучин Грузии. Труды Тбилисского ин-та ботаники, т. 18, 1956.
8. П. А. Львов. Леса Дагестана. Махачкала, 1964.
9. А. Я. Орлов. Буковые леса Северо-Западного Кавказа. Труды АН СССР по изучению производительных сил: «Широколиственные леса Северо-Западного Кавказа». М. Изд-во АН СССР, 1953.
10. В. А. Поварницын. Типы буковых лесов Джалаабедского массива Юго-Осетии. Труды по изучению производительных сил. Серия Закавказская, вып. 2, 1931.
11. Л. И. Прилипко. Лесная растительность Азербайджана. Баку, Изд-во АН СССР, 1954.
12. С. А. Соколов. Определитель наиболее распространенных типов леса Черноморского побережья.— В сб.: Абхазия. М.—Л., Изд-во АН СССР.
13. Л. И. Сосинин. Типы леса Кавказского гос. заповедника — Труды Кавказского гос. заповедника, вып. 2, 1939.
14. И. И. Тумаджанов. Бук и буковые леса в нагорном Дагестане. Труды Тбилисского бот. ин-та, 22, 1940.
15. Г. Д. Ярошенко. Типы буковых лесов Армении. Ереван. Изд-во АН СССР, 1963.
-

საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლი დროშის ორგანიზაციი
საცოცლო-სამუშაოობის ინსტიტუტის უნივერსიტეტი, № 1 (123), 1982
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123) 1982

УДК 634 . 0 . 235

ა. გირგვაზვილი, რ. რებაძე

ტიტ კულტურის განვითარების სამინისტროს სისხლის სამსახურის საექივის საექივის

ტყის კულტურების საწყის სიხშირეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი განსაზღვრავს ხელოვნურად გაშენებული ტყის პროდუქტების ზას, გამძლეობას და მის ხარისხს. ტყის კულტურების საქმეში დარგვის საწყისი სიხშირით განსაზღვრავენ დარგულ (ან დათესილ) მცენარეთა რაოდენობას ფართობის ერთეულზე (1 ჰა-ზე). დარგვის ან დათესის საწყის სიხშირეზე დამკიდებულია კულტურის საბურველის შეკრულობა; რაც უფრო ძირე იწყება საბურველის შეკრულობა, მით უფრო მცირდება კულტურაში მოვლითი სამუშაოების დანახარჯები. საბურველშეკრული კულტურა მნიშვნელოვნად ზღუდავს მის საფარქეშ საჩერებლა ბალახების გამრავლებას, კულტურა უკეთ იტანს აღვილობრივ არახელსაყრელ პირობებს: მაგ., ფიტვის კულტურა საბურველის სრული შეკრულობის შემდეგ იჩენს უფრო მეტ გამძლეობას მაისის ხოკის მიმართ და სხვ.

ტყის კულტურების საწყისი სიხშირის განსაზღვრისას აღიძერება რამდენადმე განსხვავებული საკითხები, კიდრე ტყის ბუნებრივი საკითხების შეფასებისას: მაგ., თუ მოზარდს (მისი არათანაბარი განლაგებისას ფართობის ერთეულზე) მოეთხოვება მინიმალური პირობები მომავალი კორომის შესამნელად, ხელოვნურად შექმნილ ნარგაობაში იქმნება მის მიერ დაკავებული ფართობის პოტენციური მწარმოებლობის მაქსიმალური გამოყენების პირობები. ცხადია, თუ აღნიშნული სატყეო-საკულტურო ფართობი ამა თუ იმ მერქნიანი ჯიშის გასაშენებლად შესაბამისად იქნება შეჩრეული.

საკითხი ტყის კულტურების გაშენების საწყისი სიხშირის შესახებ მოითხოვს სათანადო დასაბუთებას როგორც მეტყველობითი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. არც თუ დიდი ხნის წინათაც პირველ რიგში მიაჩნდათ, რომ მაღალი სიხშირით გაშენებულ კულტურაში ჩატარდება რა საბურველის შეკრულობა, მცირდება დანახარჯები მოვლაზე. არ იყო გათვალისწინებული ნარგაობაში მოვლითი ღონისძიებების გამოყენება მე-
2. შრომები, № 1 (123), 1982

ა. გირგვაზვილი
სამ. საბურველი
6 44

ქანიზაციის გამოყენებით და სხვ., კულტურები შენდებოდა 13—20 ათას-ცალის რაოდნობით 1 ჰა-ზე; ამასთან რიგთაშორისი დაცვულება — 1,25—1,5 — 1,0 მ [1].

საერთოდ კი, საკითხი ტყის კულტურების წარმოების საწყისი სინშირის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგარადაც ჩატარდა; დასავლეთ ევროპაში — შრომითი რესურსების სიმცირის მიზნების საქართველოში ქონლო მერქნის გაუსალებლობის პირობებში, შეიმჩნევა კულტურების საწყისი სინშირის შემცირების ტენდენცია. მაგ. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც აღრე მიღებული იყო სტანდარტი ტყის კულტურების სინშირის შესახებ,— 20 — 22 ათასი ცალის რაოდენობით 1 ჰა-ზე, ამერიკად ტყის კულტურებს აშენებენ სინშირით 6—8 ათასი ცალის რაოდენობით 1 ჰა-ზე [9]. იტალიაში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში მაგ., ვერცხის კულტურებს აშენებენ 158 — 400 ცალის რაოდენობით 1 ჰა-ზე [6].

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ბოლო დღოს თავი იჩინა ტენდენციამ ტყის კულტურები (შევი ფიჭვით) ვაკე პირობებში გააშენონ დაბალი სიხშირით, რითაც მცირდება სამუშაოები ნიადაგის მომზადებაზე და დარგვაზე. ასევე მცირება სარგავი მასალის რაოდენობა, აღარ არის აუცილებელი მოვლითი ჭრის ჩატარება. მეორე მხრივ, მიჩნეულია, რომ მაღალი სიხშირით გაშენებულ კულტურას აქვს თავისი უპირატესობაც: აღარ არის აუცილებელი კულტურების შევსება, მალე იწყება საბურველის შექრულობა, იზლუდება კულტურებში სარეველების გავრცელება, მცირდება ტენის აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან [2].

ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ძირითადი დებულების მიხედვით [1] ტყის კულტურების გადაყვანის შესახებ ტყით დაფარულ ფართობში ამ საკითხის გადაწყვეტის მთავარ პირობას წარმოადგენს კულტურაში საბურ-ველის შეკრულობის სტადიის დაწყება, ასევე კულტურაში მთავარი მერ-ქნიანი ჯიშის თანაბარი განაწილება ფართობზე და კულტურის საერთო სიმაღლე ბოლო წლების შემატებით.

Հայ Շեքերձա Թուան Առաջնահերթի Ծպու Կալվածուրեզնի Ծարմոցեաս, Թոյ-
թեգո Ջեցուլուրենի Թուան Առաջնահերթի Ծպու Վահագուր Առաջնահերթի Ծպու
Մալալո Սոեմուրուտ, Վաղը Վակը Հայուցու Առաջնահերթի Ծպու Ես, Տիյարենի Հայ
Սահմանական Շեքերձա Թուան Առաջնահերթի Ծպու Ես, Տիյարենի Հայ

აღნიშვნულიდან საყურადღებოა საკითხი მაღალი სიხშირით გაშენებული კულტურების შესახებ, რომელთა გამოყვლევის შედეგად მეღავნდება არა მარტო მათი დადგებითი მხარე (რის შესახებაც ზემოთ ითქვა), არამედ ფრიად არასასურველი გარემოებაც, რაც გამოიხატება მაღალი სიხშირით გაშენებულ კულტურაში თოვლტყდომით გამოწვეული შედეგებით [5,8 და სხვ.].

როგორც ვ. ოგოევსკი აღნიშნავს [4], თუ დასაწყისში — მაღალი ჩიხ-შირით გაშენებული კულტურისათვის დამახასიათებელია საბურჯველის შეკრულობის პერიოდის შემცირება, შემდეგ ასეთ კულტურაში რჩება წვრილი ზომის ხეთა ეგზემპლარები, რომელთაც არ შექმნავთ ნიმუშები ტყდომისადმი გამძლეობის უნარი. შემდეგ ავტორი ციტირების მქონე მეცნიერების აზრით უპირატესობა უნდა მიეცეს „ნორმალური სიხშირის კულტურებს“ (6—10 ათასი ცალი მცენარის რაოდენობა 1 ჰა-ზე).

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით იმ ფართობებზე, რომლებზედაც კულტურები გაშენებულია მაღალი სიხშირით (10. 000 ცალი საშ. 1 ჰა-ზე და ა. შ.), მოვლითი ლონისძიებები, რაც ასეთ ნარგაობაში ჩატარდა მისი სიცოცხლის წინა ფაზებში (გახარებისა და საბურჯველის შეკრულობის ფაზებში), — გათოხვით და სხვ., შემდგომი ფაზების სათანადო წარმართვისათვის საქმარისი არაა; კორომის ფორმირების ფაზაში მყოფ კულტურებში (11—20 წ.), საღაც თავს იჩენს შემადგენელ ხეთა დიფერენციაცია სიმაღლეში ზრდის მიხედვით [3], თუ ეს კულტურა გაშენებულია მაღალი სიხშირით, იწყება შემადგენელ ხეთა ცალკეული ეგზემპლარების ზრდაში მკვეთრი ჩამორჩენა, ზოგჯერ ხმობაც (ეს განსაკუთრებით სინათლის მომთხოვნი ჯიშების კულტურაში), ამ ვითარებაში ტყის გარემოს შექმნის დაჩქარების თვალსაზრისით საჭიროა ადამიანის ჩარევა; ნარგაობის ამ, ერთგვარი „დაძაბვის“ პერიოდში უნდა ჩატარდეს მოვლითი ჭრა, რაც ხელს შეუწყობს კულტურის წარმატებით გადასვლას შემდგომ (ლატნარობის) ფაზაში. თუ ასეთი სამეურნეო ლონისძიება დროულად არ ჩატარდა, მაშინ იგი უნდა განხორციელდეს ლატნარობის ფაზის დასაწყისშივე.

ჩვენი გამოკვლევილიან ამ მხრივ საყურადღებოა სოსნოვსკის ფიჭვის 28 წლიანი კულტურა (დუშეთის სატყეო მეურნეობა. ადგილი „წინამხარი“, ლუთხუმის ხევის გასწვრივ), რომელიც გაშენებულია 7 ჰა-მდე ფართობზე საქმაოდ მაღალი სიხშირით (1 მ X 1 მ). ადგილის დაქანება 25—30°. დიდოვლიან ზამთარში (1976 წ.) თოვლტყდომით ძლიერ დაზიანდა კულტურის 40%-მდე. ეს დაზიანებული ფართობი მთლიანად ჩალეჭილია, აქ დარჩენილია მასალა ხმელი ფიჩხის სახით. გადარჩენილ ფართობზე კი კულტურას საქმაოდ კარგი ზრდა აქვს, რასაც ადასტურებს სიმაღლეში ბოლო წლების შემატება (0,25—0,30 მ) სათანადო ტაქსაციური გადაანგარიშებით მერქნის მარაგი 1 ჰა-ზე შეადგენს 300 მ³-მდე. აქვე შეინიშნება მკვდარი საფარიც, რაც მოწმობს მაღალი სიხშირით გაშენებულ აღნიშნული ნნოვანების კულტურაში ტყის გარემოს წარმოქმნას და ამასთან ერთად ტყის წყალშემნახავი და წყალმარევულირებელი უნარის ნიშნებს, ამას კი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მთის პირობებში გაშენე-

ბული ტყის კულტურების ეროვნის საჭინააღმდევო მოქმედების ფარგლე-
რისით.

თოვლტყდომის დფგილი პქონდა სოსნოვსკის ფიჭვის 25 წლიურად
ტურაშიც (შავი არაგვის ხეობა, სოფ. ხარხეთთან).

საჭირო აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ღუშეთის სატყეო მეურნეობა გა-
მონაკლისს არ წარმოადგენს; ასეთ მოვლენებს (განსაკუთრებით მარად-
მწვანე მეტენინი ჯიშების კულტურებში) არცთუ იშვიათად აღვილი აქვს
სხვა სატყეო მეურნეობებშიც.

ლ ლ ტ რ ა ტ უ რ ა — Л и т е р а т у р а

1. П. Г. Вакулюк, Г. Д. Белый, Е. А. Шлямар. Густота по-
садки чистых культур сосны. Лесное хозяйство, 4, 1980.
2. К. Костадинов. Густота и продуктивность культур сосны
черной. «Реферативный журнал», 12, 1980.
3. В. В. Огневский, А. А. Хиров. Обследование и исследова-
ние лесных культур. Л., 1967.
4. В. В. Огневский. Густота культур основных лесообразую-
щих пород. Л., 1974.
5. А. И. Писаренко. Лесовосстановление. «Лесная промышлен-
ность», М., 1977.
6. Г. И. Редко. Продуктивность и рост быстрорастущих древес-
ных пород в культурах. Л., 1974.
7. Новое в лесовыращивании. Под редакцией И. В. Шутова. Лес-
ная промышленность. М., 1977.
8. Густота культур хвойных пород и ее значение. Гос. Комитет
лесного хозяйства. М., 1974.
9. Лесные культуры в современном мире. М., 1976.
10. Основные положения по лесовосстановлению в государствен-
ном лесном фонде СССР. М., 1969.
11. Основные положения по переводу лесных культур в покрытую
лесом площадь в государственном лесном фонде СССР.
«Лесная промышленность», М., 1969.

საქართველოს უნივერსიტეტის მიერთებული დოკუმენტი
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ჟურნალი, № 1 (123), 1982
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (ШАХИДСКИЙ ЖУРН
შემოსის და განვითარების სამსახურის მიერთებული დოკუმენტი

УДК 634 .0 .235

6. რუსეთი

უსახარის სამუშაოს უნივერსიტეტის კულტურის აკადემიაზე

ფასანაურის სატყეოს ტერიტორია საქართველოს ერთ-ერთი ულამა-
ზესი დღილია. მისი ბუნებრივი პირობები განსაზღვრული თავისებურებით
ხასიათდება, რაც ცალკეული უნის ზღვის დონიდან დაცილების, ექსპო-
ზიციისა და კონფიგურაციის სხვადასხვაობით აიხსნება. იგი მიეკუთხნება
აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მცენარეულობის ოლქს.

საკულტო მძიებრის ტყის კულტურები თავისი ასორტიმენტის მი-
ხელვით არცთუ ისე დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ღომინანტებს
წარმოადგენს შავი *Pinus nigra* Arnold და სოსნოვსკის ფიჭვის
(*Pinus Sosnovskyi* Nakai) კულტურები.

ფასანაურის სატყეოს ფიჭვის კულტურების ზრდისა და მდგომარეო-
ბის შესწავლა ვაწარმოეთ ვ. ოგიევსკისა და ა. ხიროვის მეთოდით. სა-
ველე სამუშაოების ჩატარებისას, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნია-
დაგურ პირობებში, დაქანებასა და ექსპოზიციაზე გამოყოფილი იქნა სანი-
მუშო სტატისტიკური ფართობები 0,01—0,02 ჰა ოდენობით.

ფიჭვის კულტურების ზრდის პირობების გამოვლევა ვაწარმოეთ
აღვილმდებარეობის, რელიეფის, მომიჯნავე ფართობების, ნიადაგის
ტიპის, მისი სისქისა და სხვა ნიშნის შესწავლის გზით. სანიმუშო სტატის-
ტიკურ ფართობებზე შესწავლილი იქნა ფიჭვის კულტურების განლაგე-
ბა ფართობზე, მათი დარგვის სიჩრიე, თოთოეული ეგზემპლარის ზრდის
მონაცემი — სიმაღლე, დიამეტრი, საბურველის შეკრულობა, მიმდინარე
შემატება სიმაღლესა და დიამეტრში, უკანასკნელი სამი წლის შემატება,
გახარება და ა. შ. პარალელურად ვიკლევდით აგრეთვე კულტურების სა-
ბურველის ქვეშ მდებარე ნიადაგურ საფარსა და მის პუმუსოვან ფენას.

ფასანაურის სატყეოს ფიჭვის კულტურები გავრცელებულია ძირითა-
დად 1000 მ-დან 1650 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან 20°-დან 40°-მდე

დაქანების ფ
ხორხატიანი.



შესწავლის ობიექტზე გაშენებული ფიკვის კულტურული მნიშვნელი სიხშირე არ აღმატება 1500—2000 ცალს ჰა-ზე (ბაქნებს ძროში და დაწყის პერიოდში არ აღმატება 1000 ცალს ჰა-ზე). მაგრავი აღმატება 2,5 მ X 2,0 მ, 3,0 მ X 3,0 მ, 3,5 მ X 4,0). სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე საკელევ მატერიალური მნიშვნელობის დაბურველის დაბალი შეკრულობა, რაც ხელოვნურ ნარგაობაში ტყის გარემოს დაგვიანებით შექმნის საწინარია.

დაახლოებით ერთიან გარემო პირობებში ჩვენ მიერ შესწავლილია ხეთი და რაც ლიკანი შავი და სოსნოვსკის ფიქტის კულტურები, რომელთა ზრდა-განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში. აღნიშნული ცხრილიდან ირკვევა, რომ შავი ფიქტი უკეთესი ზრდა-განვითარებით ხასიათდება, ვიღრე სოსნოვსკის ფიქტის კულტურები.

ଅବ୍ୟାକ୍ଷମିତାରେ

- а) რვაწლიანი შავი ფიტვის საშუალო სიმაღლე აღწევს 1,4 მ-ს, საშუალო დიამეტრი კი 6,0 სმ-ს, საშუალო წლიური შემატება სიმაღლეში შეადგენს 0,18 მ-ს, დიამეტრში კი 0,8 სმ-ს. საშუალო შემატება უკანასკნელი საში წლის მიხედვით აღწევს 0,32 მ-ს. გახარება კი 96%.

ბ) რვაწლიანი სოსნოვების ფიტვის საშუალო სიმაღლე აღწევს 1,0

- ბ) რვაწლიანი სოსნოვების ფიცვის საშუალო სიმაღლე აღწევს 1,0 მ-ს, საშუალო დიამეტრი 5,0 სმ-ს, საშუალო წლიური შემატება სიმაღლეში შეადგენს 0,12 მ-ს, დიამეტრში კი 0,6 სმ-ს, საშუალო შემატება უკანასკნელი სამი წლის მიხედვით აღწევს 0,22 მ-ს, გახარება კი 88%. (ანალოგიური მდგომარეობაა ხუთწლიანი ფიცვის კოლტიური შეიტ).

გარდა ზემოთ აღნიშვნულისა, ჩვენ შევისწავლეთ ოთხი, ხუთი, ოხუთ-მეტი და ოცდაერთწლიანი შავი და ექვსი, ათი, ოორმეტი და ცხრამეტწლიანი სოსნოვსკის ფიჭვის კულტურები. გამოკვლეულის შედეგად მიღებული მათი გახარებისა და ზრდა-განვითარების მაჩვენებლები ნორმალურია; მაგრამ შესწავლილ, აღნიშნულ მონო ტყის კულტურებში საბურველის შეკრულობა ძლიერ დაბალია, ფართობზე ბავნების $(2,5 \text{ მ} \times 2,0\text{-}3,0 \text{ მ} \times 2,5 \text{ მ})$ დაშორების გამო. ოთხწლიანი ფიჭვის კულტურის საბურველის შეკრულობა შეადგენს 22%, ხუთწლიანის 33%, ოხუთმეტწლიანის 58%, ოცდაერთწლიანის 73%, ექვსწლიანი სოსნოვსკის ფიჭვის 35%, ათწლიანის 42%, ოორმეტწლიანის 48%, ხოლო ცხრამეტწლიანის კი 59%.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესწავლილ
მონო ტყის კულტურებში ძლიერ დაბალია საბურველის შეკრულობა,
ამიტომ საეკვოდ მიგვაჩინა შესწავლილი ფიცის კულტურების დროუ-
ლად გაღაყვანა ტყით დაფარულ ფართობებში. სამწუხაროდ საკლევ

ობიექტზე თითქმის ყველა დარგულ ტყის კულტურებში პირველი სამუშავებელი სიხშირე, როგორც წესი, დაბალია. აქედან გამომდინარე, მომავალში საჭიროა ნიადაგი ისე დამუშავდეს (ბაქნობრივად), რომ დატვირტულული ჰა-ზე იყოს არანაკლები 6500—7000 ცალი.

ბერძნობრივება

საკულტო ობიექტის შხვლოდ ერთ ადგილას გავრცელებულია შა-ვი ფიჭვის წმინდა კულტურები (შავი არავის ხეობა, „გამსი“ — სასა-ფლაოს ზედა მხარე), რომელიც დარგულია 1971 წელს პირველსაწყისი სიხშირით 6500 ცალი ჰა-ზე. მაგრამ კულტურების სატაქსაციო მაჩვენებლები ნორმალურია. ასე მაგალითად, მათი საშუალო სიმაღლე აღწევს 1,3 მ-ს. საშუალო დიამეტრი კი 5,5 მმ-ს. ყოველწლიური შემატება სიმაღლეში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ასეთია: 13,0, 15,1 და 16,2 მ. გახარება შეადგენს 100%, ხოლო რაც მთავარია, საბურველის შეკრულობა აღწევს 85%. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საკულევ ობიექტზე ფიჭვის კულტურების ასეთი პირველდაწყიერითი ოპტიმალური სიხშირე გამონაკლისია.

ყურადღებას იყენობს საკულევი ობიექტის სოსნოვსკის ფიჭვის ოცდასამწლიანი კულტურა („წინამხარი“, ლუთერის ხევის გასწვრივ). აღნიშნული კულტურა გაშენებულია 7,9 ჰა ფართობზე საკმაოდ მაღალი სიხშირით (1,0 მ X 1,0 მ; 1,0 მ X 1,5 მ), დაქანება 25°—30°, ექსპოზიცია აღმოსავლეთი. 1976 წლის დიდოოლიან ზამთარში კულტურამ განიცადა თოვლტყდომა, რამაც მოიცა ნარგაობის 40%. დაზიანებულ ფართობზე კულტურა საკმაოდ კარგი ზრდის მაჩვენებლებით ხასიათდება: საშუალო სიმაღლე შეადგენს 8,5 მ-ს, ხოლო ცალკეული ეგზემპლარებისა 10 მ-ზე მეტს. საშუალო დიამეტრი 14 მმ-ია, გახარება—75%. ვფიქრობთ, თოვლტყდომა გამოიწვია დარგვის პირველსაწყისში მაღალმა სიხშირემ და სათანადო მოვლითი ღონისძიების ჩატარებლობამ. ამიტომ საჭიროა ამათუ იმ კონკრეტული პირობებისათვის შერჩეული იქნეს კულტურების გაშენების ოპტიმალური საწყისი სიხშირე, მომავალში მოვლითი სამუშაოების ჩატარების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთიულეთის პირობებში ტყის კულტურებისათვის ნიადაგის დამუშავება, დარგვის პირველსაწყისი ოპტიმალური სიხშირის დადგენა უნდა მოხდეს დიფერენციალურად ფერდობის დაქანების მიხედვით ობიექტის სირთულის, რეკომენდებული ჭიშების ბიორეკოლოგიის, მიზნობრივი დანიშნულების, ნიადაგის პუმუსის გაუმჯობესების, გაეწერიანების შეზღუდვისა და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით.

საკულევ ობიექტზე მიზანშეწონილად მიგვიჩნია როგორც შერეული, ისე წმინდა ხელოვნური კორმების შექმნა. შერეული ტყის კულტურები საჭიროა გაშენდეს დიდი და საშუალო სისქის ნოიერ ნიადაგებზე, ხო-

ඉතුරුවෙන් නියමීත උග්‍රීය රාජෝත්තානී සේවක තොළඹින තුළම්පුරුව එහි
ස්ථානීය ප්‍රංශීලී මූල්‍යාධ්‍ය මැද්‍රැස් මැද්‍රැස්

No	Հայրենականություն	Պահանջման թիվ	Վայր	H (մ)	D (մ)	Անձնական բարեկարգություն		Առաջարկած բարեկարգություն		Վեհապահություն		1978 թվականի մայիսի 30-ի վայրենական առաջարկած աշխատավայր	Տարեկան աշխատավայր
						Բ	Դ	Բ	Դ	Բ	Դ		
1	"Փափառ", քահանա 64, զինվածաց ավելից, ըստից 30° Տ=3,0 լ. Խոցադրան պահանջման, պահանջման աշխատավայր 2,5×2,0, և. Վ. թ. 11500.	Խոչնայիշ պայման	6	1,0	3,0	0,12	0,6	0,20	0,22	0,25	0,28	34	88
2	"Հինգը", քահանա 41, զինվածաց եղանակ, ըստից 33° Տ=4,0 լ. Խոցադրան պահանջման, պահանջման աշխատավայր 2,5×2,0, և. Վ. թ. 12000.	Խոչ պայման	8	1,4	6,0	0,18	0,8	0,30	0,32	0,35	0,38	48	96
3	"Հինգը", զահանգա 101, շենք 2, զինվածաց գումարություն, ըստից 30°, Տ=4,8 լ. Խոցադրան պահանջման աշխատավայր 2,5×2,0 լ. և. Վ. թ. 13000 լ.	Խոչ պայման	5	0,45	2,2	0,12	0,5	0,18	0,21	0,23	0,26	30	85
4	"Քահանա Կայունություն", քահանա 40, զինվածաց եղանակ, ըստից 25°, Տ=8,0 լ. Խոցադրան պահանջման, պահանջման աշխատավայր 3,0×1,50 լ. և. Վ. թ. 13500 լ.	Խոչնայիշ պայման	5	0,44	2,0	0,10	0,4	0,16	0,18	0,19	0,20	30	80

ლო წმინდა კორომები კი მცირე სისქის, შედარებით ნაკლებ ნაყოფი ბის ნიადაგებზე;

ა) ტყის გასაშენებლად ჩვენ მიერ ჩეკომენდებულია **შემთხვეული ქნიანი ჯიში:**

Pinus nigra Arnold.,
Pinus Sosnovskyi Nakai.,
Picea excelsa Link.,
Picea orientalis Link.,
Quercus iberica Stev.,
Quercus macranthera F et M.,
Fraxinus excelsior L.,
Fagus orientalis Lipsky.,
Tilia caucasica Rupr.

ბ) შერეული ტყის კულტურებში ჯიშთა თანაფარდობა სასურველია იყოს წიწვიანებისათვის 60—70%, ხოლო ფოთლოვანებისათვის კი 30—40%.

გ) სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობებისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს მშრალი ტიპის ტყის კულტურებს, რომლებიც შედგება შავი ფიჭვისაგან, სოსნოვსკის ფიჭვისაგან, ქართული მუხისაგან, მაღალ-მთის მუხისაგან და ჩვეულებრივი იტნისაგან; ხოლო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებისათვის კი ტენიანი ტიპის ტყის კულტურებს — შემ-დგარს აღმოსავლეთ წიფლისაგან, ჩვეულებრივი ანუ ევროპული ნაძვისა-გან, აღმოსავლეთის ნაძვისა და კავკასიური ცაცხვისაგან.

ლიტერატურა

1. Г. И. Редько, А. Р. Родин, И. В. Трещевский. Лесные культуры, М., 1979.
2. И. И. Ханбеков. Лесовосстановление и защитное лесоразведение в горных районах СССР, М., 1978.
3. В. В. Огневский, А. А. Хироев. Обследование и исследование лесных культур, М., 1967.

საქართველოს უნივერსიტეტის
სამუშაო-სამუშაო ინსტიტუტის გარემონტის
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАКА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (1982)

УДК 634 . 956 . 58

გ. გავაზელი

მართვლი მუნიციპალიტეტი აღდგენის უნივერსიტეტის უფლებები
სამუშაოს სახელმწიფო ნაკრძალვი

ჩვენს ქვეყანაში პარტია და მთავრობა უდიდეს უურადლებას უომობს
ტყის დაცვისა და მისი აღდგენის ღონისძიებებს [1].

ტყის აღდგენის პროცესი რთული ბიოლოგიური მოვლენაა და გან-
პირობებულია გარემოს კომპლექსურ ფაქტორთა ზემოქმედებით და ამას-
თანავე ტყის აღნაგობა-სტრუქტურისა და ცალკეული ჭიშების ბიოეკო-
ლოგიური თვისებურებებით.

ტყის აღდგენის პროცესი კლიმატურ-ნიადაგობრივ, ოროგრაფიულ
პირობებისა, ჭიშების ბიოლოგიასა და თვით ტყის სტრუქტურის თვისე-
ბურებებთან დაკავშირებით ოდიგანვე იპყრობდა მეტყევე პრაქტიკო-
სებისა და მეცნიერების ყურადღებას.

წინამდებარე სტატიაში გაშექებულია ძეირფასი სამეურნეო
ნიშნების მქონე ჯიშის—ქართული მუხის ბუნებრივი აღდგენის პროცესის
მსვლელობა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში.

საგურამოს სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი ჩამოყალიბდა
1946 წ., ლიკვიდირებულ იქნა 1954 წელს, 1957 წელს კვლავ იქნა აღ-
გენილი.

კასპიის ზღვიდან მოდენილი ლრუბლუშა, საგურამოს ქედის მწვერვალ-
ზე, მისი გეოგრაფიული თვისებური განწყობის გამო, ცივდება, ნალე-
ქებად ჩამოდის და უზრუნველყოფს ამ აღგილების (ჩრდილოეთის რუ-
მბზე) მაღალ ტენიანობას.

ნაკრძალის ტყეები განლაგებულია საგურამოს ქედის კალთების
ჩრდილოეთ და სამხრეთ ექსპოზიციებზე. ჩრდილოეთის ფერდობებზე მე-
ზოფილური ტიპისაა, ხოლო სამხრეთის ფერდობებზე—ქსეროფიტული
ტიპისა. მუხნარები უფრო ამ უკანასკნელი ექსპოზიციის ფერდობებზეა
წარმოდგენილი.

საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი ფლორისტიკული თვესამართისთვის რისით მეტად საინტერესო კუთხეა.

ნაკრძალის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მესამეულური მუზეუმი და უცხადები ქეთის ტიპის რელიქტები: კუორი, კავკასიის მოცვი, კოლხების ჭავჭავა და კურული, კატაბარდა, ეკალიტა, ველური ვაზი და სხვ.

ნაკრძალის ტერიტორიის რთული რელიეფი და ხელსაყრელი პირობები აპირობებს მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას.

ნაკრძალის გაბატონებული ჯიშია: წიფელი, მუხა, რცხილა, თელა, ნეკერჩხალი, პანტა, იფანი და სხვ.

მუხის კორომები, თუ თ. ურუშაძის [12] შრომას დავეყრდნობით, განვითარებულია ყომრალ ნიადაგზე.

ნაკრძალი მთლიანად მიკუთვნებულია პირველი ჯგუფის ტყეებზე. მისი საერთო ფართობი შეადგენს 5247 ჰა-ს. მუხის კორომებით დაკავევებულია 2141 ჰა, ანუ 44,4%, რომელიც ამონაყრითი წარმოშობისა [2].

წარსულში, სანამ ნაკრძალად გამოტანდებოდა, უსისტემო კრისა და საქონლის ძოვების შედეგად ზოგან მოხდა ჯიშთაცვლა. მუხის კორომები შეიცვალა რცხილნარებითა და ჯაგრუცხილნარებით. უსისტემო ჩეხ-ვამ მუხნარები სრულ გამოფიტვამდე მიიყვანა, ბევრ ფართობზე ის ბუჩქნარ ჩიყედ გადაიქცია [2].

საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში ჩეენ მიერ შესწავლილი იქნა ქართული მუხის აღღენის—ბუნებრივი თესლითი განახლების პროცესი ზღვის დონიდან 680 — 800 მ ფარგლებში, შემდეგ ტყის ტიპებში:

1. მუხნარი ნაირბალახოვანი;
2. მუხნარი მარცელოვანი ბალახებით;
3. მუხნარ-ჯაგრუცხილნარი ისლიანი;
4. მუხნარი მკვდარსაფურიანი;
5. მუხნარი წივანიანი.

საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის მუხის კორომებში ქართული მუხის ბუნებრივი თესლითი განახლება კორომის საშუალო და მაღალი კალთის შეკრულობისას*, სუსტი ან ძლიერ სუსტია.

აღმონაცენ-მოზარდის საერთო რიცხვის ტიპების მიხედვით 1 ჰა-ზე ცვალებადობს 3305 ცალიდან 5600 ცალამდე. საერთო-საშუალო რიცხვი შეადგენს 4470 ცალს. იქნადან ქართული მუხის აღმონაცენ-მოზარდის ზევირითი წილი მხოლოდ 15.08% შეადგენს, დანარჩენი კი სხვა ჯიშებშე მოდის, მაშინ, როცა ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში ჩატარებული გა-

* მეჩერესა და დაბალი კალთის შეკრულობის მუხის კორომებში განახლება არ შევისწავლია. ასეთი მუხნარები ნაკრძალში თითქმის არ არის.

მოკლევებით [7] მუხრანიში აღმონაცენ-მოზარდის საერთო საშუალო ტოლენობა 1 ჰა-ზე შეადგინდა 26250 კალს, თუმცა ქართულმ მუხრ აღმონაცენ-მოზარდი ექვ საერთო რაოდენობაში მკირზე იყო 4 12 მლნ. ლარი.

მუხის სხვადასხვა ტყის ტიპს თუ ერთმანეთს შევთქოთშესწორისტუნავთ ხავთ. რომ ქართული მუხის ბუნებრივი თესლითი განახლების პროცესი მათში აჩვეროთფეროვნად მიმდინარეობს. ამპლიტუდა დიდი არ არის, მაგრამ სხვაობა მაინც შეინიშნება მუხის ოღმონაცენ-მოზარდის რაოდენობაში. კერძოდ, ქართული მუხის ოღმონაცენ-მოზარდის ხევდრითი წილი სხვა გიშებს შორის, ტყის ტიპებისა და სიხშირეების მიხდვით, პროცესი ტულად ნატურალურია შემდეგნაირად:

საშუალო ხინდინის კორომი

1. მუხნარი ნაირბალაზოვანი	17,7%
2. მუხნარი მარცვლოვანი ბალაზებით	15,3%
3. მუხნარ-ჯაგრუქილნარი ისლიანი	10,7%
4. მუხნარი წიგნიანი	22,3%

მარკეტი სისტერის კორომი

5. მუხლარი მკვდარსათრიანი 9.3%

ვერდათ, რომ ყველაზე ცუდი მღვმარეობა არის, ქართული მუხის განახლების ეფექტურობის თვალსაზრისით, საშუალო სიხშირის მუხნარ-ჯავრცხილნარ ისლიან ტყის ტიპში და მაღალი სიხშირის მუხნარ-საფარიის ტყის ტიპში.

პირველ შემთხვევაში ეს გამოწვეულია კორომის დაქვემდებარებული ნაწილის მაღალი სიხშირით და თხელი და მშრალი ხირხატოვანი ღარიბა, თიხნარი ნიაღაგით (აյ კორომი მეტად დაბალი ჭარბალობისაა), ხოლო მაღალი სიხშირის მუხნარ მკედარსაფარიან ტყის ტიპში ძლიერ სუსტი განახლების მიზეზი ნათელია, დაჩრდილვა და უხეში მკედარი საფარი სა-ერთოდ ძლიერ ზღუდავს ტყის ბუნებრივ თესლით განახლებას.

იმავე ტყის ტიპების ციფრობრივი მასალის მიხედვით დასტურდება, რომ მუხის კორომებში ქართული მუხის აღმონაცენ-მოზარდის სიმცირის გამო ტყის ბუნებრივი განახლება მიმდინარეობს სხვა ჯიშების სასარგებლოდ, რის გამო ნაკრძალის ზოგიერთ ადგილებში მუხა უკვე შეცვლილია რცხილისა და ფაგორცხილის ფორმაციებით.

კიდევ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის მუხნარებში მუხის მოზარდი თაობა უმნიშვნელოვანია.

ნელოა და 15 სანიმუშო ფართობიდან მხოლოდ ორ სანიმუშო ფართობზე ღილიშიდაა. კერძოდ, კვ. 26, სან. ფართ. № 2 (0,15% მოზარდი), კვ. 25/ სან. ფართ. № 9 (0,9% მოზარდი). დანარჩენ 13 სანიმუშო ფართობზე მუხის თესლითი მოზარდი არ შეგვხვდება.

ერთოც და და

ანალოგიური არასასურველი ბოვლენები დაღასტუტჭაბუქის მუქა ნებრივი თესლითი განახლების შესახებ, ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში [7] და კახეთის სხვადასხვა სატყეო მეურნეობებში [6]. იგივე ხასიათის უარყოფით მოვლენას ადასტურებს მუხის ბუნებრივი თესლითი განახლების თაობაზე რ. გოცირიძის და ი. ფარჯანაძის [4], ლ. აზრაიფარაშვილის [3], ა. ჩაფიძის [20], პ. ალენტივეის [14] და სხვათა გამოკვლევები.

ამგვარად, მოვანილი მასალების საფურეოლზე საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში ქართული მუხის აღდგენა—ბუნებრივი თესლითი განახლება ძლიერ სუსტია. მუხის აღმონაცენი ვერ გადადის მოზარდში, ამიტომ მისი ბუნებრივი თესლითი განახლების უნარი სრულიად უკავებროა.

რაც არ უნდა მრავლად იყოს აღმონაცენი, რომელი ტყის კიშიც არ უნდა ავილოთ, სულერთია, თუ მისი აღმონაცენი თავისითავად მოზარდში ვერ გადადის, განახლება აუცილებლად ძლიერ სუსტად უნდა მივიჩნიოთ. ასეთივე აზრისაა ნ. მარჯველაშვილი [10] და ა. კუკოვი [15].

ქართული მუხის ბუნებრივი თესლითი განახლების ხელშემშლელ მიზნად შეიძლება დავასახელოთ მრავალი ფაქტორი:

აღმონაცენის მოზარდში გადასცვლის შესაძლებლობას და ეფუქტურობას ძლიერ ზრდას ტყის კალთის მაღალი შეკრულობა, მხედველობიდან არ უნდა გამოვარჩეს კორომის დაჭვემდებარებული ნაწილი. რაც მუხნარებში უმეტესად კალთის მაღალი შეკრულობით არის წარმოდგენილი, მით უმეტეს დაბალი ბონიტეტის კლასის კორომებში. ასეთი ფაქტები ხშირია საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში.

3. ალენტივეის [14] გამოკვლევით, ჩრდილოეთ კავკასიაში მაღალი შეკრულობის ქვეტყიან კალთის ქვეშ მუხის თვითნათესი ინტენსიურად იღუპება.

გ. იუნაშის [21] მიხედვით, ქვეტყის მოჭრა და კორომის კალთის შეთხელება აღიდებს განათების ინტენსივობას, რის შედეგადაც უმჭობესდება მუხის აღმონაცენის ზრდა-განვითარების პირობები. მატულობს თვითნათესისა და მოზარდის სიცოცხლისუნარიანობა.

ტყის კალთის მაღალი შეკრულობის უარყოფითი გავლენის შესახებ აღმონაცენ-მოზარდის ზრდა-განვითარებაზე არაერთი მასალა მოგვეპოვება საქართველოს მთიან ტყეებში სხვადასხვა ჭიშებზე ჩატარებული კალეების მიხედვით [13, 5, 11, 8].

ქართული მუხა, როგორც სინათლის ჭიში 0,7-ზე მაღალი კალთის შეკრულობის პირობებში დაჩაგვრის გამო მოზარდში ვერ გადადის, წვალობს და აღმონაცენის ასაქშივე იღუპება.

აღმონაცენის რაოდენობას საგრძნობლად განსაზღვრავს მკედარი საფარის სისქე, ცოცხალი საფარის სიხშირე და მისი შედგენომობის თავის სებურება.

მკედარი საფარი რაც უფრო სქელი და უხეშია, მით კარტუზული ბია აღმონაცენის რიცხვი; რაც უფრო ხშირია ცოცხალი ჰერცოგიურეული რო მეტია კონკურენცია და კლებულობს აღმონაცენის რაოდენობა. მუხის აღმონაცენის რაოდენობაზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე და ბალი მწარმოებლობის ნიადაგი, მკვეთრი ქანობი და სიმაღლე ზღვის დონიდან.

3. ალენტიევის [14] შრომის მიხედვით, მთიანი რელიეფის პირობებში მუხის განახლების წარმატებაზე დიდ გავლენას ახდენს სიმაღლე ზღვის დონიდან. დაქანების სიკვეთოე, ფერდობის ექსპოზიცია, რაც დაკავშირებულია განსხვავებულ სითბურ რეემობაზე, ნიადაგის ნოჟიერებასთან, ტენიანობასთან და ტყის ტიპოლოგიურ შემადგენლობასთან.

მუხნარებში აღმონაცენის წარმოშობიდან, მის შემდგომ სიცოცხლის უნარიანობას და ზრდას ტყის კალთის ჭვეშ, სინათლის რეჟიმის შემდეგ განსაზღვრავს ტენითა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფა. იმის გამო, რომ საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში მუხნარები განუვილია სამხრეთის ჩუბის ფერდობებზე, აღნიშნული ელემენტებით მუხის აღმონაცენ-მოზარდი მთლიანად უზრუნველყოფილი არ არის. სინათლის ნაკლებობასთან ერთად, სიმშრალე და მუზიკი ნიადაგი აპირობებს აღმონაცენის ინტენსიურ დალუპვას. აღმონაცენი, როგორც ცნობილია [5], წარმოშობიდან 2—3 წლის შემდეგ უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებს ნიადაგის ტენიანობას. მართლაც და დაბალი ბონიტეტის მშრალი ტიპის კორომებში დაჩაგრული აღმონაცენ-მოზარდი გაცილებით მეტია, ვიდრე უკეთს პირობებში.

მუხის აღმონაცენის მოზარდში გადასცლის შესაძლებლობას საკმაოდ ზღუდავს აგრეთვე გაზაფხულის წაყინვები, რის შედეგადაც ნორჩი კენ-წერული ნაზარდი იყინება და იჩაგრება აღმონაცენი. ასეთ ფაქტებს აღვილი აქვს არა მარტო საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ცნობილია [17], რომ პირვანდელი ბიოგეოცენოზის დარღვევა იწვევს ტყის ოვისებების წონასწორობის დარღვევას, რაც თვისისთავად მოქმედებს ტყის დამახასიათებელ სხვადასხვა ბიოლოგიურ პროცესზე და მათ შორის ტყის ოვითალდგენის შესაძლებლობის ოვისებაზეც. აღნიშნული გარემოება, სრული შესაძლებელია, რომ უარყოფითად მოქმედებდეს საგურამოს სახ. ნაკრძალში მუხნარების ბუნებრივ თესლით განახლებაზე, რადგან ნაკრძალში ამეამად წარმოდგენილია არა თუ ძირითადი, არამედ წარმოებული მუხნარები წარსულში ადამიანის უსისტემო სამეურნეო მო-

ქმედების შედეგად. დღეს ნაკრძალში მხოლოდ ამონაყრით წარმოშობის მუხნარებია.

პირველყოფილი მუხნარების ბიოგრაფენზის დარღვევაზე აღმოავს ლეთ საქართველოს პირობებში მიუთითებენ მთელი რიგი მუხლების [18, 9, 16, 19] და თუ დღეს მუხნარი ტყეები მთლიანად არ არის მის მიერ ნებული, როგორც ლ. სოსნოვსკი [18] აღნიშნავს, ეს მისი შემთხვევაში განახლების უნარს უნდა მიეწეროს.

დასასრულს უნდა დავასკვნათ, რომ საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში ქართული მუხის ბუნებრივი თესლით განახლების სუსტი უნარი და ომონაცენ-მოზარდის სიცოცხლისუნარიანობის დაბალი ეფექტი განპირობებულია არახელსაყრელ ფაქტორთა კომპლექსის ზემოქმედებით, როგორიც არის კორომის კალთისა და მისი დაქვემდებარებული ნაწილის მაღალი შეკრულობა, დაბალი ხარისხის ბონიტეტის კლასი, უხეში მკედარი საფარი, ზოგან მძლავრად განვითარებული ცოცხალი საფარი, წარსულში ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედება, გაზაფხულის წაყინვები, ფაუნის წარმომადგენლების შეირ რეას დაზიანება და განადგურება, სუსტი თვითნათესის წარმოშობა, სიმშრალე, პირვანდელი ბიოგრაფენზის დარღვევა, ძოვება და სხვ.

ლიტერატურა — Literatura

1. სსრკ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. გან. „კომუნისტი“ 5.03. 1981.
2. საგურამოს სახ. ნაკრძალის ორგანიზაციისა და ტყის მეურნეობის გეგმის პროექტი. ტ. I, თბილისი 1971—72.
3. ლ. აზე მაი ფარაშვილი, ჯიშთა ცელა ფართოფოთლოვანი ჯიშების კორომებში ომოსავლეთ საქართველოს მუხის სარტყელში. სატყ. ინსტ. შრ. ტ. VII, 1957.
4. რ. გოცირიძე, ი. ფარაშვანაძე, საქართველოს მუხნარების მდგომარეობის შესახებ. „საქართველოს ბუნება“ № 6, 1947.
5. კ. გულისაშვილი, ზოგადი მეტყევეობა. წიგნი I—1974, წიგნი II—1975.
6. გ. გავაშელი. მივხედოთ ქართულ მუხას. „საქართველოს ბუნება“ № 3, 1973.
7. გ. გავაშელი. ქართული მუხის ბუნებრივი განახლება ლაგოდეხის სახ. ნაკრძალში. საქ. სას.-სამ. ინსტ. შრ. ტ. 105, 1978.
8. კ. დარახველიძე. ფიქციის განახლების საკითხისათვის. საქ. სას.-სამ. ინსტ. შრ. ტ. 42—43, 1955.

9. Б. კ ე ც ხ ვ ე ლ ი. საქართველოს მცენარეთა ძირითადი ტუტები, თბილისი, 1935.
10. ბ ა რ გ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ტყის საბურველის ქვეშ ბუნებრივი განახლება. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრ. ტ. I, 1963. ურარცხული
11. პ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ფიცვნარი კორომების ბუნებრივი ტუტები მსვლელობა და მთავარი სარგებლობის ვრების მეთოდების დაღვნა ატენის ხეობაში. სატ. ინსტ. შრ., ტ. III, 1950.
12. თ. უ რ უ შ ა ძ ე. საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები თბილისი, 1977.
13. Я. Л. Абашидзе. Возобновление буков в некоторых типах леса Кахетии. «Лесное хозяйство» № 11, 1953.
14. П. Алентьев. Восстановление дубовых лесов Северного Кавказа и повышение их продуктивности. Майкоп, 1976.
15. А. Жуков. Дубравы Украины и способы их восстановления, 1949.
16. Я. Медведев. Деревья и кустарники Кавказа, 1915.
17. А. Положенцев, И. Савин. О причинах отмирания дубрав. «Лесное хозяйство», № 5, 1976.
18. Р. Сосновский. Опыт классификации растительных формаций Грузии. Закавказский краеведческий сборник, т. I, 1930.
19. В. Фиженко. Судьба дубовых лесов в Закавказье. Лесной журнал, 1911.
20. А. Чапидзе. Смена дуба малоценными лиственными породами на Цив-Гомборском хребте и разработка лесовосстановительных мероприятий, (кандидатская диссертация), 1967.
21. Г. Юнаш. Семенное возобновление дуба в островных нагорных дубравах. (Кандидатская диссертация). Воронеж, 1953.

საქართველოს უროვნის ჯილდი ღრმულის ორგანიზაციის
სასოფლო-სამეურნო ინსტიტუტის უროვნი, № 1 (123), 1982

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123), 1982

УДК 630

ა. გორგაძე, თ. რუხაძე

მუნიციპალური მუნიციპალური უროვნების მიმდევარის განვითარება—
სისხლის უზრუნველყოფისათვის

სპორტის მცენარეების, განსაკუთრებით კი მღიერების, ხავსებისა
და გვიმრების ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თეოსებების შესწავლით
დაღვენილია მათი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა: მღიერები
გამოყენებას პოულობს მედიცინასა და პარფიუმერიაში; მისი ზოგიერთი
სახეობისაგან გლუკოზასა და ქიმიურ ინდიკატორ—ლაკმუსს ამზადებენ.
დიდია მღიერების მნიშვნელობა ცხოველთა გამოყვებაშიც. ხავსები, გან-
საკუთრებით ტორფისა, საუკეთესო საწვავს იძლევა. ამ მცენარის დიდი
ჰიგროსკოპულობა განაპირობებს მის ფართო გამოყენებას საფენად ცხო-
ველთა საფვრმში, მისი მშრალი გამოხდით კი ლებულობენ ისეთ პრო-
დუქტებს, როგორიცაა მეთილის სპირტი, სახარინი, სანთელი, პარაფინი,
საღებავები და სხვა. გვიმრების ზოგიერთი წარმომადგენლის ფესვები,
სპორტანგიუმები და სხვა ნაწილები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში
(წილი აბებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების დაშადებაში). გვიმრე-
ბი ფართოდ გამოიყენება დეკორაციულ მებაღეობაშიც. უდიდესია სპო-
რტის მცენარეთა მნიშვნელობა ბუნებაში: მღიერები და ხავსები სიცოცხ-
ლით დაუსახლებელი ადგილების პირველი პიონერები, ხოლო დასახლებუ-
ლი ადგილებისათვის კი წყლის რეემის მარეგულირებელი არიან. ბევ-
რი მათგანი, განსაკუთრებით გვიმრები სხვადასხვა მცენარეული ისოცია-
ციების, მეტადრე ფართოფოთლოვნების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი-
სა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კომაროვის სახელობის
ბოტანიკის ინსტიტუტის კალეგებით დადგენილია, რომ საქართველოს
ფლორა გამოიჩინევა სპორტის მცენარეთა უდიდესი მრავალფეროვნე-
ბით, რაც პირობადებულია ამ მხარის გეოგრაფიული. ოროგრაფიული,
კლიმატური და ისტორიული პირობების თავისებური შესამებებით. საჭ-
ვ. შემძებელი, № 1 (123), 1982

გასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქ ადგილი აქვთ სპოროვანი მცენარეების სახეობრივი და შიდასახეობრივი შედგენილობები გიურ-გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა დუშეთის სატყეო მცენარეების სპოროვანი მცენარეების ფლორისტული შედგენილობის დაზება.

მასალა შეგროვილია მარშრუტული მეოთოდით 1978—1980 წლებში. სიები სახეობრივ შედგენილობაზე მოცემულია მხოლოდ ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის საფუძველზე. მასალები შეგროვილია ძირითადად მუხნარ-წითლნარ ტყეებში სამხრეთ და ჩრდილო ფერდობების ხეობაში, ტყის კულტურებსა და სანერგებში. გარდა ფლორისტული კვლევისა, განვახორციელეთ რიგი გეობორტანიკური კვლევა სანიმუშო ფართობებზე სახეობრივი შედგენილობის, სიხშირის და დაფარულობის დასადგენად.

დუშეთის სატყეო მეურნეობა მდებარეობს დუშეთის აღმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე და განლაგებულია მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების ძლიერმთიანი ზოლის ტყის ყავის-ფერი ნეშვმბალა—კაბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონში. ტემპერატურული სიმაღლისა და ნალექების განაწილების ცვლის გამო კლიმატი მის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. საერთოდ კი საკულევი ტერიტორია გამოიჩინება ნალექების საქმაო რაოდენობით და გრილი ზაფხულით. რაც ქმნის მცენარეულობის ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალურ პირობებს.

ცხრილი 1

მდევრები და ზავსები

მცენარის დასახელება	სიმაღლე	ტემპერატურა	ჰიდროლიგიური მდგრადი	ინტენსივობა
<i>Cladonia fimbriata</i> (L.) Tr. em Vain	2	ცალკეული	"	III
<i>Parmelia sulcata</i> Tayl.	2	ცალკეული	308.	III
<i>Lobaria pulmonaria</i> (L.) Hoffm.	2	"	"	III
<i>Evernia furfuracea</i> (L.) Mann.	1	"	"	III
<i>Cladonia coniocrea</i> (Floerk.) Spreng.	2	მთლიანი	სპორებ.	II
<i>Tetraphis pellucida</i> Hedw.	2	ცალკეული	სპორებ.	III
<i>Dicranum scoparium</i> Hedw.	2	"	"	III
<i>Drepanocladus uncinatus</i> (Hedw.) Warnst.	3	მთლიანი	308.	III
<i>Mnium undulatum</i> Hedw.	2	ცალკეული	"	III
<i>Politrichum norvegicum</i> Hedw.	3	ხალებად	"	II
<i>Climacium dendroides</i> (Hedw.) Web. et Mohr.	3	მთლიანი	"	II
<i>Peltigera canina</i> (L.) Willd.	3	მთლიანი	სპორებ.	III


ცხრილში წარმოდგენილია საკვლევ ტერიტორიაზე ჩვენ მოიპოვებული ხავსებისა და მღიერების სახეობრივი შედგენილობა, შეხვედრის სიხშირე ფენოფაზა და იარუსი, ხოლო მომდევნო მეორე ტერიტორიაზე მოდგენილია ეპიფიტების სახეობრივი შედგენილობა, ტერიტორიული როგორების ისენი მოსახლეობენ. შეხვედრისა და სიცოცხლის უნარიანობა.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, საკვლევ ტერიტორიაზე ჩვენ მიერ დაღვენილია მღიერის 6 სახეობა (*Lobaria pulmonaria*, *Evernia furfuracea*, *Cladonia fimbriata*, *Parmelia sulcata*, *Cladonia conio, crnea*, *Paltigera canina*. და ხელის 6 სახეობა (*Tetraphis pellucida*, *Dicranum scoparium*, *Drepanocladus uncinatus*, *Mnium undulatum*, *Polytrichum norvegicum*, *Climacium dendroides*). ათგან შეხვედრის ვანისკურტებული სიხშირით სიხშირე დაღვენილია ღრუდეს ხეობალიანი სისტემით გამოირჩევა *Drepanocladus uncinatum*, *Polytrichum norvegicum* და *Climacium dendroides*, აღნიშნული მცენარეები ხალების სახითაა წარმოდგენილი და უცირატესად მოთლიანი ფარავენ ადგილს. ხავსებისა და მღიერების დასახლებელი სახეობებიდან 8 სახეობა ეპიფიტია (ცხრილი 2). ეპიფიტების 4 სახეობა (*Lobaria pulmonaria*, *Evernia furfuracea*, *Cladonia fimbriata*, *Tetraphis pellucida*) წიფელზეა დასახლებული, 4 კი მეხაზე (*Parmelia sulcata*, *Cladonia coniocrea*, *Dicranum scoparium*, *Drepanocladus uncinatus*) ეპიფიტი ები ან ცალკეულადაა განაწილებული, ან მოთლიანი ფარავენ პატრონ მცენარის ლეროს და ქერქს. ზოგი მათგანი ძლიერი სიცოცხლიანობით გამოირჩევა, ზოგი კი სუსტით.

ჩვენ მიერ შეგროვილი გვიმრების სახეობების სია წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაღვენილი 7 სახეობიდან განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება (*Dryopteris filix mas*. და *Athyrium filix femina*).

ამგვარად, დუშეთის სატყეო მეურნეობაში ჩატარებული ფლორისტული კლავებით დაღვენილი გვაქვს მღიერის 6 სახეობა (მათგან 5 ეპიფიტი), ხავსის 6 სახეობა (მათგან 3 ეპიფიტი), გვიმრის 7 სახეობა. მღიერები უცირატესად მოშიშვლებულ ქვალორლიან ადგილებზე ან იმ ხემცენარების ქერქზე მოსახლეობს, რომლებიც ნათელ ადგილებზე იზრდება. ხავსები ტენით მდიდარი, დაჩრდილული ან ნათელი ადგილებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო გვიმრები კი უპირატესად საკვლევი ფართოფოთლიანი ტყის ცენოზის II და III იარუსითაა წარმოდგენილი.



မြေပိုက်ရေး လာဆင်းလွှာ	ငါးပါး လျှပ်စီ ပို့ဆောင် အဖွဲ့	နှိမ်ပို့ လျှပ်စီ ပို့ဆောင် အဖွဲ့	နှိမ်ပို့ လျှပ်စီ ပို့ဆောင် အဖွဲ့
<i>Lobaria pulmonaria</i> (L.) Hoffm.	၆၀၁၅။	၂၄၉၃၇။	၄၈၀၅၀။
<i>Evernia furfuracea</i> (L.) Mann.	—	—	၁၇၁၈၀။
<i>Cladonia fimbriata</i> (L.) Tr. em Yain.	—	—	၄၈၀၅၀။
<i>Parmelia sulcata</i> Tayl.	၂၇၃၁	—	၁၇၁၈၀။
<i>Cladonia coniocruca</i> (Floerk.) Spreng.	၂၇၃၁	—	၄၈၀၅၀။
<i>Tetraphis pellucida</i> Hedw.	၆၀၁၅။	၂၇၉၀၁။	၄၈၀၅၀။
<i>Dicranum scoparium</i> Hedw.	၂၇၃၁	၂၇၉၀၁။	၄၈၀၅၀။
<i>Drepanocladus uncinatus</i> (Hedw.) Warnst.	၂၇၃၁	၂၇၉၀၁။	၄၈၀၅၀။

66

მცენარის დასახელება	სიმძიმე	გენერატორი	გვ.
<i>Athyrium filix femina</i> (L.) Schott	3	სპორებით	I
<i>Athyrium alpestre</i> (Hoppl.) Rylands.	1	"	II
<i>Dryopteris filix mas</i> (L.) Schott.	3	"	I
<i>Dryopteris austriaca</i> (Jacq.) Woyn.	1	"	II
<i>Dryopteris oreocephala</i> (Fom.)	1	"	III
<i>Dryopteris oreopteris</i> Ehrh.) Maxon.	1	"	III
<i>Dryopteris spinulosa</i> (Will.) O. Kuntze.	1	"	II

შესწავლილ სპოროვნ მცენარეებში მკეთრად არის გამოსახული სა-
ხეობრივი შედგენილობის არათანაბარი განაწილება ზონალობასთან კა-
შირში, რაც ძირითადად კლიმატური ფაქტორებითაა პირობადებული.

საქართველოს უნივერსიტეტის მიერთებული გრიფის მიხედვით
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გარემონტი, № 1 (123), 1982
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123), 1982

УДК 630 . 187

თ. რუხაძი, გ. მილაძი,
გ. ვაჭავაძი

ტომების საზარი ტიპის ტიპების მიხედვით გუვათის სატემო გეურეოგრაფი

ტყის ტიპი, ვ. სუკაჩოვის განმარტებით, ტყით დაფარული ფართო-ბებია, რომელიც ერთგვარია ჭიშთა შემაღებილობით, სხვა სართულების მცენარეულობით და ფაუნით, ტყის ზრდის პირობების კონკრეტულებისით. მცენარეთა და გარემოს შორის ურთიერთობით, განახლებითი პროცესებითა და მათში ჭიშთა ცვლის მიმართულებით.

ცველა ზემოაღნიშნულის გამო ვ. სუკაჩოვი ტყის ტიპის ინდიკატორად აუცილებლად თვლის გაბატონებულ ტყის მერქნიან ჭიშსა და ამასთან ერთად ცოცხალი საფარის მთავარ და დამახასიათებელ წარმომადგენლებს და ქვეტყეს. ამ მიზნით ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს, წიფლნარების და მუხნარების ტყის ტიპების ცოცხალ საფარს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

წიფლის ტყის ტიპები:

ტიპი: წიფლნარი მკვდარი საფარი — *Fagetum nudum*
გაბატონებულია წიფელი, მაღალი სიხშირით, შერეულია რცხილა და არყი. ეს ტიპი ზ. დ. 1000—1500 მეტრის სიმაღლეზე გვხვდება, 20°—30° დაქანების ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ფერდობებზე. მკვდარი საფარის სისქე 4—5 სმ.

Galium verum L.

Evernia furfuracea (L.) Hoffm.

Bromus sterilis L.

Coronilla varia L.

Potentilla reptans L.—მარწყვა ბალახი

Ajuga genevensis L. — პირწმინდა

Fragaria vesca L.—მარწყვი



Polytrichum norvegicum Hedw.

Hypogymnia physodes (L.) Nyl.

Poa pratensis L.—თივაქებრა

Gentiana cruciata L.—ხალველა

Brunella vulgaris L.—გობის ცხვირა

Orobanche lutea Baumg.—კელაპტარა

Mnium undulatum Hedw.

ტიპი: წიფლნარი ჩიტისთვალის საფარით —
Fagetum asperulosum

გაბატონებულია წიფელი საშუალო სისქირით, წიფლნარს ერევა: რცხილა, არყი, ძახველა და იელი. ეს ტიპი ზღვის დონიდან 1200—1500 მ ფარგლებშია, დასვლეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ დამრეც (15° — 25°) ფერდობებზე.

Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალა

Rubus caucasicus Focke.—მაყვალი

Potentilla reptans L.—მარწყვა ბალახი

Daucus carota L.—ფერისცვალა

Viola kitaibeliana Roem. et Schult.—ა

Rosa canina L.—ასეილი

Primula cordifolia Rupr.

Heleborus caucasicus A. Br.—ხარისხირა

Polygonatum glaberrimum C. Koch — სკონტრი

Mnium undulatum Hedw.

Trifolium repens L.—თეთრი საშუალო

Vicia sativa L.

Geranium palustre L.

Vicia crocae B. Fedtsch.

Lobaria pulmonaria (L.) Hoffm.

Climacium dendroides (Hedw.) Web. et Mohr.

ტიპი: წიფლნარ-რცხილნარი გვიმრის საფარით —
Tagetum Carpinetum dryopteriosum

გაბატონებულია წიფელი, სადაც ერევა რცხილა და მუხა. ქვეტყვეში: დიდგულა, ასეილი, პანტა — *Pyrus caucasica* A. Fed., ვერხვი. ეს ტიპი ზღვის დონიდან 1400—1600 მ. გავრცელებულია ჩრდილო და დასავლეთის მცირე (15° — 20°) დაქანების ფერდობებზე.

Athyrium filix femina (L.) Schott.—ტყის გვიმრა

- Rubus caucasicus* L.—მაყვალი
Trifolium repens L.—თეთრი სამყურა
Brunella vulgaris L.—გობისცხვირა
Poa nemoralis L.—თივაქისრა
Valeriana tiliaefolia Troitzky.
Urtica dioica L. ჭინვარი
Dryopteris filix mas (L.) Schott.—მთის ჩაღუნა
Mnium undulatum Hedw.
Ranunculus repens L.
Climacium dendroides (Hedw.) Web et Mohr
Stellaria media (L.) Cyr.—ურცერეკი
Geranium gracile Ledeb.
Betonica grandiflora Willd.
Poltigera canina (L.) Willd.

ტიპი: წიფლნარი წივანის საფარით—*Fagetum
festucosum*

გაბატონებულია წიფელი. საშუალო სისშირით ქვეტყვეში: ონილი, ასკილი, შინდი—*Cornus mas* L. ზუმარტლი—*Mespilus germanica* L., ჭავი—*Sorbus caucasigena* Kom., შიადაწლა—*Thelycrania australis* (C. A. M.) K. San. გვერცელებულია ზღვის დონიდან 1300—1800 მ, ივებს 25°—35° დაქანების ჩრდილო-აღმოსაელეთის აუზისავლეთსა და დასავლეთის ფერდობებს.

- Festuca montana* L.—წივანი
Festuca sulcata E. Hack.—ველის წივანი
Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალი
Asplenium trichomanes L.—
Poa nemoralis L.—თივაქისრა
Alchimilla erythropoda Juz.
Sempervivum pumilum M. B.
Dryopteris filix mas (L.) Schott.—მთის ჩაღუნა
Agrimonia eupatoria L.—
Tusilago farfara L.—ვირისტერფა
Geranium palustre L.—
Sedum caucasicum (Crossh.) Boris.
Sambucus ebulus L.—ანწლი
Brunella vulgaris L.—გობისცხვირა
Plantago lanceolata L.—მრავალძარღვა
Trifolium repens L.—თეთრი სამყურა



Climacium dendroides (Hedw.) Web. et mohr.

Fragaria vesca L.—შარწყვეტი

Paris incompleta M. B. და სხვა.

ტიპი: წიფლნარი ნაირბალახოვანი — *Fagetum prasinosum*

გაბატონებულია წიფელი მაღალი სიხშირით, შერეულია რცხილა, ქართული მუხა. ქვეტყვეში: თხილი, ზღმარტლი, კუნელი შინდი, შინდანწლა, ძახველა. აღნიშნული ტყის ტიპი მეორადი წარმოშობისაა, ჩიტის-თვლიან მკვდარსაფარიან და წივანიან წიფლნარებისაგან. ეს უბნები მდებარეობს დასახლებული პუნქტების ახლოს 800—1325 მ ზღვის დონიდან.

Onobrychis iberica Hoffm.

Medicago sativa L.—ჩვეულებრივი იონჯა

Cirsium incanum Fisch.—თეთრი ნარი

Brassica campestris L.—შალგი

Rubia petiolaris wor.—ენდრო

Urtica dioica L.—ჟირვარი

Lamium album L.—ჭინჭრის ღედა

Sympytum caucasicum M. B.—ლაშვარა

Ranunculus repens L.—ნიახურა

Ajuda genevensis L.—პირწინდა

Hordeum leporinum L.—თაგვის ყანა

Daucus carota L.—ფერისცვალა

Plantago major L.—მრავალძარღვა

Poa pratensis L.—თივისქასრა

Paltigera canina (L.) Willd.

Polytrichum norvegicum Hedw. და სხვა

ტიპი: წიფლნარი იელის ქვეტყით — *Fagetum osaleosum*

გვხდება ზ. დ. 1100 — 1400 მ, სადაც პატარა ფართობების სახით იყავებს წყალგამყოფ ქედებსა და დიდი დაქანების ფერდობებს. კორომი წარმოდგენილია წიფლის გაბატონებით, დაბალი სიხშირით, სადაც ერევა რცხილა. ქვეტყვეში ღომინანტობს იელი — *Rhododendron flavum* Don-ბალახოვანი საფარი სუსტადაა განვითარებული.

Festuca pratensis Huds.

Poa pratensis L.—თივისქასრა



Primula macrocalyx Bge.—დიდჯამა ფერისელა
Rhododendron flavum Don.—იელი
Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალა
Polygala caucasica Bupr.—წიწინაური
Rubus caucasicus Fosca.—მაყვალი
Daucus carota L.—ფერიცვალი
Mnium undulatum Hedw.—
Poa nemoralis L.—თივაქასრა
Polygonatum glaberrimum C. Koch.—სვინტრი
Orbanche lutea Baumg.—კელეპტარი
Urtica dioica L.—ჭირვარი
Atropa caucasica Rupr.—შაგა და სხვა.

ტიპი: წიფლნარი ისლის საფარით — *Fagetum caricosum*

გვრცელებულია ზ. დ. 1000—1200 მ. დაქანება 30° — 40° , იგი მეორადი წარმოშობისაა, შეღება წვნიანი წიფლნარებისაგან და წარმოადგენს მათი დეგრადაციის შედეგებს, ცოცხალ საფარში გაბატონებულია. ისლი — *Carex muricata* L.

Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალა
Festuca montana M. B.—წივანა
Festuca varia Haenke.—წივანა
Geranium gracile Ledeb.
Ranunculus repens L.—ნიახურა
Rubus caucasicus Fosca.—მაყვალი
Sambucus ebulus L.—ანწლი
Brunella vulgaris L.—გობისცხვირა
Fragaria vesca L.—მარწყვი
Athyrium filix femina (L.) Schott.
Paris incompleta M. Bieb.—ხარისთვალი
Veronica chamaedrys L.
Digitalis ferruginea L.
Mnium undulatum Hedw.
Pyretrum parthenifolium Willd.
Carex muricata L.—ისლი
Paltigera canina (L.) Willd. და სხვ.

ტიპი: წიფლნარი სუბალპურ მაღალბალახოვანი — *Subalpino fagetum herbosum* ზღვის დონიდან მდებარეობს 1800—


- 2000 მ. სადაც კორომში გაბატონებულია წიფელი საშუალო სამართლი.
 ერევა: არყი, მაღალი მთის ნეკერჩალი — *Acer trautvetteri* Medw.
 და აღმოსავლეთის მუხა.
Senecio platyphyllides S. et L.—ხარისშებლა
Valeriana tillifolia N. Troitzky—სასტვია
Betonica grandiflora Willd.—მთის ბარისპირა
Achillea mierantha M. B.—ფარსმანდუკი
Lamium album L.—ქინვრის დედა
Leucanthemum vulgare (L.) Lam.—მინდერის გვირილა
Taraxacum vulgare (Lam.) Schrank.—ბაბუაწვერა
Symphytum caucasicum M. B.—ლაშქარა
Rubia petiolaris wor.—ენდრო
Hordeum leporinum L.—თაგვის ყანა
Centaurea depressa M. B.—ღილილო
Glaucum corniculatum (L.) curt.—ყაყაჩერა
Achillea millefolium L.—ფარსმანდუკი
Vicia sativa L.—ჩვეულებრივი ცერცველა
Sideritis montana L.—საყვავილე
Avena fatua L.—შვრილკა
Inula glandulosa Willd.—მზიერა
Heraclium Sosnowsky J. Mond—დიყი
Heraclium asperum M. B.—შეპყა

მუხნარები

ტიპი: მუხნარი ისლის საფარით — *Quercetum poosum*

გვევლება ზ/დონიდან 1000—1400 მ. გაბატონებულია მუხა, საშუალო
 სიხშირით ერევა: ჯაგრცხილა — *Carpinus orientalis* Mill. და რცხილა.
 ძალუკეში: შიდა — *Cornus mas* L. ცარატყავა — *Lonicera iberica* M. B.
 და კურდღლის ცოცხა — *Genista tinctoria* L.

- Carex muricata L.—ისლი
Polygonatum glaberrimum C. Koch.—ევინტრი
Poa pratensis L.—თივაქესრა
Poa nemoralis L.—თივაქესრა
Achillea biserrata M. B.—ტყის ფარსმანდუკი
Equisetum arvense L.
Erodium cicutarium (L.) L. Herif.



Coronilla varia L.

Pimpinella saxifraga L. და სხვა

ტიპი: მუხნარი ისლის საფარით — *Quercetum caricosum*

ზ. დონიდან 800—1400 მეტრი. საშუალო სიხშირის მუხნარებში შე-
რეულია: ჯაგრცხილა — *Carpinus orientalis* Mill., რცხილა — *Carpinus caucasica* Grossh., იფანი — *Fraxinus excelsior* L. ქვეტყეში: შინდი,
ცხრატყავა — *Lonicera iberica* M. B., თჩამლა — *Cotinus coggygria* Scop., თხილი, უკლო, კერძღლის ცოცხა — *Genista tinctoria* L. და
ჯაგრცხილა.

Carex muricata L. — ისლი

Poa pratensis L. — თივაქასრა

Trifolium repens L. — თეთრი სამყრა

Stellaria media (L.) Cyr. — ქვეტყე

Polygonatum glaberrimum C. Koch. — სეინტრი

Urtica dioica L. — ჭანჭარი

Viola kitaibeliana Roem. et Schult. — აა

Dentaria quinduefolia A. Br. — ტყის ბოლოკა

Sempervivum pumilum M. B.

Orobanche lutea Baumg. — კელეპტარა

Asperula odorata L. — ტყის ჩატირთვალა

Oxalis acetosella L. — მევეველა

Brunelia vulgaris L. — გობისცხვირა

Myosotis alpestris Schm. და სხვა.

ტიპი: მუხნარ-ჯაგრცხილნარი ისლის საფარით —

Quercetum orientalis carpinosum caricosum.

ზ. დონიდან 800—1100 მეტრი. სამხრეთ აღმოსავლეთის და სამხრეთის
25°—30° დაქანებაზე. მუხა და ჯაგრცხილა თანაბარია, შერეულია შინდი,
კუნელი, ზღმარტლი და ასკილი.

Carex spicata Huds.

Carex compacta Lam. — ისლი

Lithospermum officinale L. — კაკას სეკენელა

Brachypodium silvaticum (Huds.) P. B. — ბერსელა

Laser trilobum (Jacq.) Borkh. — ტყიერა

Poa pratensis L. — თივაქასრა

Dactylis glomerata L. — სათითურა



- Brunella vulgaris L.—გობისცხვირა
 Urtica dioica L.—ჭინჭარი
 Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალა
 Oxalis acetosella L.—მეუველა
 Plantago lanceolata L.—მრავალძარღვა
 Dryopteris filix mas (L.) Schott.—მთის ჩაღუნა
 Athyrium filix femina (L.) Schott.
 Mnium undulatum Hedw.
 Festuca montana M. Bieb.—წივანა
 Rubus caucasicus Fosca—მაყვალი
 Geranium palustre L.
 Paris incompleta M. Bieb.—ხარისთვალა
 Trifolium pratense L.—წითელი სამყურა და სხვა.

ტიპი: მუხნარ-ჯაგრცხილნარი ნაირბალახოვანი —
 Querceta carpineta prasinum.

- ზღვის დონიდან 600—800 მ, სამხრეთ ფერდობებზე პირველ სართულში მუხა, მეორე—ჯაგრცხილა, სადაც შერეულია თხილი, კუნელი და ჭინჭარი—*Evonymus latifolia* Mill.
 Carex spicata Huds.—ისლი
 Brachypodium silvaticum (Huds.) P. B.—ბერსელა
 Sithospermum officinale L.—კაქბის საკენკელა
 Laser trilobum (Jacq.) Borkh.—ტყეურა
 Lathyrus odorata L.—არჯაკელი
 Galium verum L.—მიწდვრის ნემსა
 Solanum persicum W.
 Veronica filiformis Sm.
 Orchis amblyoloba Nevsk.—გუგულის კამა
 Poa nemoralis L.—თივაქასრა
 Festuca montana M. Bieb—წივანა
 Cirsium incanum Fisch.—თეთრი ნარი
 Aruncus vulgaris Raf.—ტეკენძელა
 Polygonatum glaberrimum C. Koch.—სვინტრი
 Campanula rapunculoides L.
 Fragaria vesca L.—მარწყვი
 Valeriana tiliaefolia Troitzky.—სასტვირია
 Asperula odorata L.—ტყის ჩიტისთვალა
 Rubus caucasicus Fosca.—მაყვალი
 Agrimonia eupatoria L.—ბირჟავა

Mnium undulatum Hedw.

Climacium dendroides (Hedw.) Web. et. Mohr. და სხვა

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მცენარეული საფარზე ტყის ტიპების მიხედვით საფუძველს გვაძლევს ალვნიშნოთ, რომ მცენარეული ფარი წიფლნარებში სიმაღლის მატების მიხედვით თანაბეჭდის მცენარეული და რაც მაღლა ავლივართ, ჭარბობს ბალალბალახოვანი მცენარეულობა. სპოროვანი მცენარეები, ხავსები და გვიმრები დიდი სიხშირით გვხვდება. 1200 მ-დან 1500 მ-დე ზღვის დონიდან. სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით საგრძნობია მცენარეთა მრავალფეროვნება.

ბალახოვანი საფარი ტყის ტიპების მიხედვით წიფლნარებში რვა ტიპისათვისაა წარმოდგენილი, მუხნარებში კი ოთხი ტიპისათვის.

ტყის ტიპების ბალახოვანი საფარის შესწავლის საკითხი დამარებას გაუწევს მეტყველე სპეციალისტებს მუშაობის დროს.



საქართველოს მინისტრის დოკუმენტი მიღების მიზანის
სამუშაო-საგვარეო ცნობითურის ვალივი, № 1 (123), 1982
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123) 1982

УДК 634.9=0.9 : 639=624

१०८

სარატონის გენერალი პატი ვლადიმერის გაუცემის დამოუკიდებელი მფლობელი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მყვეთად გაიზარდა ტყის მეურნეობის როლი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ძნელია ამჟამად მოიძებნოს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც მცირე თუ დიდი ოდენობით არ იყენებდნენ ტყის პროდუქტებს და ტურისტობის დამახსინებელ ადამიანის პინადობის გარემოზე დადგებითი ზემოქმედების თვითსებებს.

ტყე წარმოადგენს რა ბუნების ლანდშატის მნიშვნელოვან და აუცილებელ კომპონენტს, მრავალი სახის სასარგებლო თვისებებით მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. როგორც პროგნოზებიდან ჩანს, ტყე არამარტო დღეს, არამედ ახლო შორეულ მომავალშიც მნიშვნელოვან აღგილს დაიკავებს საზოგადოების ცხოვრებაში. სატყეო მეურნეობის დარგობრივი თავისებურება: ტყის ბიოეკოლოგიური თვისებები, ტყის რესურსების კვლავწარმოების ხანგრძლივი ციკლი, გაწეული დანახარჯების უკუგების გრძელი პერიოდი. ტყის რესურსების სიკრცობრვი გაადგილება და სხვა პირობებს ამ დარგის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზირების აუცილებლობას. ამიტომ არის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გენერალურ გეგმებსა და სქემებში სათანადო აღგილი აქვს დათმობილი სატყეო მეურნეობას. ასე მაგალითად, სკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებულ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—85 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ აღნიშნულია „უზრუნველყოფ სატყეო მეურნეობის თანამდებობითი გადასვლა განუშვებელები და რაციონალური ტყეთსარგებლობის პრინციპებით გაძლოლაზე“. ტყეების თვისობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ვახაროთ სულ ცოტა 8 მილიონ ჰა-ფართობზე ძვი-

რთა სმერქნიანი ჯიშების ნერგები, დავნერგოთ ტყის გაშენების სამუშავე
კლო მეთოდები. შევუდგეთ იმ მიზნობრივი კომპლექსური პროცესის
ჩრდილიზაციას, რომ სსრ კავშირის ეკროპულ-ურალის ზორჩიში შეკმიათ
დელულოზა-ქალალდის მრეწველობისათვის საჭირო მუშავები და მუშავების
ნედლეულის ბაზა სპეციალური ტყის პლანტაციების გამზირის გრიფ.
პარტიის მიერ დასახულ სატყეო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამ
ძირითად მიმართულებათა საფუძველზე უკვე შემუშავებულია მეთერთ-
მეტე ხუთწლეულში შესასრულებელ სამუშაოთა კონკრეტული პროგრამა.
ტექნიკური პროგრესის საშუალებათა ფართო მასშტაბით გამოყენებით
ყოველწლიურად მზარდი ტემპებით მიმდინარეობს სატყეო-სამუშაოე
სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში სატყეო მეურნეობის შენა-
ხევასა და განვითარებაზე ყოველწლიურად სახელმწიფო ასეულ მილიონო-
ბით მანეთს ხარჯავს. სატყეო მეურნეობისადმი ასეთი დიდი ზრუნვა ჩვენა
პარტიის საბროვრამო მოთხოვნებითაა განპირობებული. ჩვენს კვეყანაში
ბუნებრივი რესურსების დაცვა, მათი კვლავწარმოება, ტყის რესურსების
რაციონალურად გამოყენება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგა-
დოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური ზრუნვის საგანს წარმოად-
გენს.

სკკ გვ. 14 ყრილობაზე ლ. ი. ბრუნევემა აღნიშნა „არა მარტო ჩვენ, არამედ მომავალ თაობასაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლონ ყველა სიკეთით, რომელსაც იძლევა ჩვენი სამშობლოს მშვენიერი ბუნება“. კომუნისტური პარტიის ეს სამეურნეო პოლიტიკა დიდ მხარდაჭერას პოულობს ჩვენს ქვეყანაში. სატყეო მეურნეობის დარგში დასაქმებული მრავალმილიონიანი მშრომელები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ტყის მოვლა-დაცვის, კვლავწარმოების, ტყის ფონდის მიწებზე არსებული სა-სარგებლო რესურსების რაციონალურად ვამოყენების სახელმწიფო გეგმებს; საქმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებულა სსრ კაშირის უტყიო და მცირებული რაონებში 11 მლნ. ტყის გაშენებას, დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. სატყეო მეურნეობის დარგში დასაქმებულმა შრომითმა კოლექტივებმა დიდი გადაჭარბებით დაწყეს აგრეთვე მეოთხომეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებაც. ისრი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ არა მარტო სახელმწიფო გეგმებს. არამედ შემხედრ გეგმებსა და გეგმა-ვალდებულებებსაც. საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებაში დიდ როლს ასრულებს შრომით კოლექტივებს. რაონებს, რესპუბლიკებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრი და ამ მოძრაობაში ჩაბმული მოწინავე კოლექტივების მორალური დამტერიალური წახალისების ასესბული სისტემა. სოკიალისტურ შეჯიბრში

¹ Տպագ ՀՀ Կառավարության մասնակցությամբ, 1971 թի. 74 դեկտեմբերին:

ვამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისება, მოსალისტური შეჯიბრის საქართომა, მოწინავეთა საზოგადოების მოვალეობა, ჩვენს ქვეყანაში იწვევს საზოგადოების ყოველი წევრის ძარის მწერალი ლტოლვას ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

პარტიის სამეცნიერო პროგრამის შესრულებისთვის წევრთო-სახალ-ხო მოძრაობაში აქტიურად არიან ჩაბმული საქართველოს სსრ სატყეო მე-ურნეობის მრავალათასიანი მშრომელები. პარტიის სამეცნიერო პროგრა-მის შესრულებისათვის საერთო-სახალხო მოძრაობაში აქტიურად არიან ჩაბმული საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მრავალათასიანი მშრომელები.

ქართველმა მეტყველებმა დიდი გადაჭირებით, ვადაშე აღრე შეას-რულეს მეოთე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმები და გეგმა ვალდებულე-ბები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სა-წარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშავებისა და მოსამასახურებისადმი გაგზავნილ მილოცვის წერილში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს აღკვ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა: „შრომისუნარიანი კარგადმოწყობილი ორგანიზაცი-ის წარმოების ენერგეტიკული და მექანიკური განახლების შედეგად მეოთე ხუთწლებში გეგმის გადამეტებით გამოშევებულია 6,3 მლნ. მან.-ს პრო-დუქცია, რეალზებულია 5,4 მლნ. მან.-ს. სასიხარულოა ღინიშნოს, რომ პროდუქციის მატების 92,5 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად შემცირებულ ვადებში, ტყის აღდგენითი სამუშაოება შესრულებულია აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსის დაც-ვით.

სახელმწიფო ტყის ფონდებში 37 ათასი ჰა-ს ნაცელად დარგული და დათესილია 37,7 ათასი ჰა ანუ 3,100 ჰა-ით მეტი, ვიდრე მეცხრე, ხუთწლებში”.

მისასალმებელი წერილის ბოლოს გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ: რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს მრავალათასიანი კო-ლექტივი არ დასჯერდება მილწეულს და წარმატებით შეასრულებს მეთერ-თმეტე ხუთწლედის დავალებებს. მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი-თვეების შედეგები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სატყეო მეურნეობის მუშავები ღირსეულად ამართლებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელების რწმენას, ისინი პირნათლად იხდიან თავიანთ პატრიო-ტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, წარმატებით ასრულებენ მიმდი-ნარე ხუთწლედის საწარმოო დავალებებს. ოდიდანვე ქართველი ხალხის: ცხოვრებაში ტყეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მისი მნიშვნე-ლობა მკვეთრად გაიზარდა ამ უკანასკნელ წლებში. საქმე იმაშია, რომ თუ-აღრე რესპუბლიკის ტყეების სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ძირი-

თადად მერქნის დამზადებით შემოიფარგლებოდა, ამ ბოლო წლებში მიანი მეურნეობის პირობებში ჩვენი რესპუბლიკის ტყეებს მერქნულ სარგებლობასთან ერთად მთის ტყეებისათვის დამახსიათებელი კრისტფლი ვთი, წყალშენახვითი. კლიმატომარეგულირებელი, სანტრაქციუმის ჩატარები და ესთეტიკური თვისებებით დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ეროვნულ სიმღიდრეში, ბუნებაში ძნელია მოიძებნოს სხვა ისეთი რესურსი, რომელსაც ტყის მსგავსად შეეძლოს საზოგადოებისათვის ასეთი მრავალი სახის სარგებლობის მოტანა. ტყის მრავალმხრივმა სახალხო-მეურნეობრივმა სარგებლობამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში ტყის ეროვნულ საუნიკე აღიარება.

საქართველოს ტყეების მრავალმხრივი, განსაკუთრებული სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის გამო ამ ტყეებში მერქნული სარგებლობა ატარებს უმთავრესად მწარმოებლურ ხასიათს. იგი ე. ი. ტყისაგან მერქნული სარგებლობა წარმოებს, როგორც სამეურნეო ლონისძიება, რომლის მიზანს შეადგენს ტყის გარემოზე ზემოქმედების ფუნქციების გადიდება, რის შედეგადაც იგი მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს ეროვნულ, ერთობლივი პროდუქტის წარმოებაში. ასე მაგალითად, დღეს საერთოდ ცნობილია, რომ სას.-სამ. კულტურების უხევი და მყარი მოსავლის მიღებაზე, ჰიდროენერგეტიკულ, საირიგაციო, კომუნალურ, საკურორტო და მთელ რიგ სხვა დარგებზე თუ რა დიდ დადგებით გავლენას ახდენს ტყე. გარემო ფაქტორებზე, ნიადაგზე, კლიმატზე, ჰიდროენერგეტიკულ სასა ზემოქმედების უნარით ტყე მკეთრად აღიდებს ამ თვისებებით მოსარგებლობა სახალხო მეურნეობის დარგების რენტაბელობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ტყეს ფართობის ერთეულზე შეუძლია მოგეცეს ერთდროულად მრავალი სახის სარგებლობა. მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ დადგენალია, რომ მაღალი მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის ტყე საზოგადოებას აძლევს მეტ სარგებლობას. ასეთი მაღალპროდუქტული ტყეების შედარებით მოკლე დროში მიღების მიზნით მეურნეობა ტყის ფართობებზე ახორციელებს მრავალი სახის სამუშაოებს, რომელთა შესრულებისათვის ყოველწლიურად ჩვენს რესპუბლიკაში მზარდი მასშტაბით იხარჯება დიდი ოდენობის მატერიალური, შრომითი და ფულადი სახსრები. ასე მაგალითად, საქართველოში მარტო სახელმწიფო ტყეების შენახვა-განვითარებაზე 1966—70 წლებში დაიხარჯა 51.839 ათასი მან. მომდევნო მეცხრე ხუთწლედში (1971—75 წწ.) კი 65.377 ათასი მან., მეათე ხუთწლედში ამ დანახარჯებმა 94.079 ათასი მან. შეადგინა. ამ დანახარჯებში დიდი ხევდრითი წილი უკავია ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოების შესრულებაზე გაწეულ დანახარჯებს. ტყის აღდგენა-განახლების ხარჯების ზრდა გაპირობებულია ამ სამუშაოების ყოველწლიური ზრდით. ესე მაგალითად, თუ 1966—70 წლებში სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში დათვესით და დარგვით გაშენდა 38.000 ჰა ტყე. 4. შრომები, № 1 (123), 1982.

მომდევნო ხუთწლედში ამ სამუშაოთა მოცულობამ 51.600 ჰა-ს მოიწია
სატყეო-საეულტურო ფონდის მიწებში მომხდარი ცვლილებებისა თუ მე-
სასრულებელ სამუშაოთა შრომატევადობის გადიდების გამო, მართალია,
ტყის ხელოვნური გაშენების სამუშაოებმა მეათ და მეორეს მიწების მიწების
წლედებში გარკვეული შემცირება განიცადა, მაგრამ მიწის მარტივი ცვლილებები
ცულობა ყოველწლიურად 7,5 ათას ჰა-ს მაინც აღემატება. ამას ემატება
აგრეთვე ის დიდი სამუშაოები, რომელიც საქართველოს სატყეო მეურ-
ნეობის სამინისტროს სისტემაში ხორციელდება ტყის ბუნებრივი განახ-
ლების ხელისშეწყობის გზით. მარტო ბუნებრივი განახლების ხელისშე-
წყობის სამუშაოები ამ ბოლო წლებში საშუალოდ წლიურად 20 ათას
ჰა-ს აღემატება.

საქართველოს სახელმწიფო ტყებში დაღვენილი კრების სისტემა
ძირითადად ითვალისწინებს ტყის ბუნებრივი განახლების გზით აღგვე-
ნას. ტყის ბუნებრივად განახლება მეურნეობისათვის ძალწეს: ხელსაყრე-
ლია, რადგან იგი არ საკიროებს ფულად და შრომით დანახარჯებს, მაგ-
რამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივი განახლება ხორციელდება
მეურნეობისათვის არასასურველი ჯიშებით და ჯიშთა ცვლის შედეგად
უარესდება ტყის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. ამ მო-
სალოდნელი უარყოფითი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, მეურნე-
ობა მიმართავს ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობის ეფექტურ საშ-
უალებებს: ნიაღავის აჩიქვნას, აჩიქვნას შეთესვით და შემოლობებას. იქ,
სადაც ეს სამუშაოები არ იძლევა მაღალ ეკონომიკურ ეფექტს, იგი
ხორციელდება ტყის ხელოვნური გაშენება-დათესვით და დარგვით. ამა
თუ იმ ტყის ჯიშის გაშენებისათვის შესარჩევად დიდი პასუხისმგებლობა
ეკისრება სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობას და მეტყველების სპეცია-
ლისტს. რადგან მათ დეტალურად უნდა შეისწავლონ გასაშენებლად შე-
რჩეული ფართობის ნიაღავობრივი, კლიმატური პირობები, აღვილის
ვერტიკალური გაადგილება და გასაშენებლად შერჩეული ჯიშის ბიო-
ეკოლოგიური თავისებურება და მისი შესაფერისობა გასაშენებლად შე-
რჩეული ფართობის პირობებთან. მაგრამ, სამწუხაროდ არის ცალკეული
შემთხვევები. როდესაც სატყეო მეურნეობაში არ ექცევა სათანადო ყუ-
რაოდება ტყის კულტურებისათვის მაღალმწარმოებლური და მაღალპრო-
დუქტიული ჯიშების შერჩევას; ხშირია შემთხვევები, როდესაც ტყის გა-
საშენებლად შერჩეული აღვილის პირობები ვარგისია რამდენიმე ჯიშისა-
თვის. ამ შემთხვევებაში მეტყველების სპეციალისტმა ამ ჯიშებიდან უნდა ააჩი-
ოს ისეთი ჯიში, რომელიც ერთი და იგივე დროის მონაკვეთში იძლევა
ყველაზე მეტი ოდენობის ბიომასას. მაღალია ბიომასის ფულადი ღირე-
ბულება და ამავე დროს გაცილებით მაღალეფექტურია გასაშენებლად
შერჩეული ჯიშის გარემოზე დადებითი ზემოქმედება. ზოგჯერ სატყეო
მეურნეობის მუშაკები კულტურებს აშენებენ არა ზემოაღნიშნული საეპ-
50

ლდებულო მოთხოვნათა გათვალისწინებით, არამედ იმის შეცდით, ურმელი ჯიშის ნერგი აქვს მას სანერვეში. ტყის კულტურული გაერთიანებით შესრულება არასწორად უნდა ჩაითვალისეთ რეალურობა

საქართველოში ტყის ხელოვნურ გაშენებას საოფიციალური მიზანის მიზანით საბჭოთა ხელისუფლების წლებში. თუ სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში გაშენებული იყო თითო-ოროლა ჰა ტყის კულტურები, ისიც დადგინდა სახით, საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვების პირველ წლებიდანვე დიდი უურადღება მიაქცა რესპუბლიკის ტყეების რესურსების კვლავწარმოებას. საკმარისია ითვეს, რომ 1921—80 წლებში რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდში დაოთვევით და დარგვით გაშენდა 200 ათას ჰა-ზე მეტი ტყის კულტურები. 1978 წლის პირველი იანვრის აღრიცხვის მონაცემებით, ამ ფართობიდან ტყით დაფარულ ფართობში ვა-დარიცხულია 40,2 ათასი ჸა, იმავე აღრიცხვის მონაცემებით თაღმეუკრელი კულტურების ფართობი საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდში ირაცხება 27,1 ათასი ჸა. თუ ონიშობულ ფართობს დაუმატებთ 1978, 79, 80 წლებში გაშენებულ კულტურების ფართობს, რაც 23 ათას ჸა-ს შეადგენს, გამოდის. რომ დანარჩენი ფართობი ტყის კულტურებიდან გამორიცხულად ითვლება, რაც წინა წლებში ამ დარგში ჩატარებული მუშაობის ხარისხის ძალზე დაბალ დონეზე მიუთითებს. საქართველოში ხელსაყრელი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების გამო ტყის კულტურების მრავალი ჯიში შენდება. მათ შორის აღსანიშნავია სხვადასხვა სახეობის ფიჭვები, ნაძვი, სოკი, წიფელი, მუხა, იფანი, თეთრი აკაცია, წაბლი, ბერძნული კაკალი, თხილი, ტყემალი, თუთა, პანტა, მაყალი, ჭანდარი, ბამბუკი, ეკვალიპტი და სხვა.

ეფექტურობის მიღების დონის მიხედვით რესპუბლიკის ტყის ფონდის მიწებზე ტყის კულტურებში გასაშენებლად რეკომენდებული ჯიშები შეიძლება პირობით დაყვით სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან სწრაფი ზრდა-განვითარებით. ახასიათებთ კვლავწარმოების მოკლე ციკლი. ფართობის ერთეულზე იძლევა დიდი ოდენობის ბიომასას, გაშენებიდან ძალზე მოკლე დროში დადებით გავლენას ახდენს გარემო ფაქტორებზე. კვლავწარმოების ციკლის პერიოდში მოვლითი ღონისძიებების პროცესში იძლევა შუალედური სარგებლობის სხვადასხვა სახეს (შერქანს, ნაყოფს, თესლს, ფოთოლს, ყვავილს, თანმდე სასარგებლო ფლორას და ფაუნას), ხოლო კვლავწარმოების ბოლო სტადიაში მერქნის დიდ ოდენობას.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ტყის ჯიშები, რომლებიც შენდება გარკვეული მიზნობრივი პროგრამით. ხელოვნურად გა-

შენებულ ასეთ ტყეებში მერქნული და ორამერქნული სარცხვობო გვარი რეხარისხოვნად დამხმარე ხასიათს ატარებს.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ტყის ჯიშების კულტურულურული ლებიც მიზნად ისახავს აღადგინოს რესპუბლიკის ტურიზმული კულტურული ხასიათებელი აღგილობრივი ჯიშები.

ჩვენი აზრით იმ აღგილებში, საღაც სატყეო-საკულტურო ფონდის მიწების ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები, აღგილმდებარეობის ვერტიკალური ზონალობა ხელსაყრელია პირველ ჯგუფზე მიუთვნებულ ტყის ჯიშებისათვის, გასაშენებლად აუცილებელია ამ ჯგუფის მცენარეების გაშენებას მიეცეს ყოველგვარი უპირატესობა.

საერთოდ ცნობილია, რომ ძვირფასი ტყის ჯიშები ხასიათდება მაღალი მწარმოებლობით და პროდუქტიულობით და ჩვეულებრივ ტყის ჯიშებთან შედარებით ძალზე მაღალია მათი ეკონომიკური ეფექტი. ამ ეფექტის ნათელსაყოფად შეიძლება დაისახელოთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაშენებული სწრაფმზარდი ტყის ჯიშები. ასე მაგალითად, 1936 წელს გაგრის სატყეო მეურნეობის ბზიფის ხეობაში 0,25 ჰა-ზე გაშენებული იყო კორომის სახით სექვოია მარადმწვანე. აღნიშნული კორომის აღწერა ჩატარდა პირველად 1963 წელს. მაშინ 27 წლის ხნოვანობაში სექვოიას კორომის საშუალო სიმაღლე შეადგენდა 19 მ-ს, საშუალო დიამეტრი—52 სმ. 0,25 ჰა-ზე მარაგი 171 მ³. აღნიშნული კორომი აღწერილი იყო აგრეთვე 1981 წელს. 45 წლის ხნოვანებაში აღნიშნულ კორომს აღმოაჩინდა საშ. სიმაღლე 31 მ, საშუალო დიამეტრი 72 სმ. ერთი ხის საშუალო მოცულობა 3,82 მ³. 0,25 ფართობზე მერქნის მარაგმა შეადგინა 312,24 მ³. ერთ ჰა-ზე გადაყვნით მერქნის მარაგი 45 წლის ხნოვანებაში 1248, 96 მ³. საშუალო წლიური შემატება 27 წლის ხნოვანებაში შეადგენდა 25 მ³. ხოლო 45 წლის ხნოვანებაში 27,7 მ³. თუ აღნიშნულ მაჩვენებლებს შევუდარებთ საქართველოს ტყეების მთავარ ჯიშებს: წიფელს, სოჭს, ნაძვს, ფიჭვს, რცხილას არა მარტო მაღალი ლირებულების სორტიმენტების გამოსავლიანობით, არამედ რაც მთავარია, ნაერთო მარაგის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების ეფექტის და თვისებების მიხედვით იგი რამდენჯერმე უკეთესია, ვიდრე აღგილობრივი ჯიშები. სექვოიასთან შედარებით ნაკლები, მაგრამ აღგილობრივ ჯიშებთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ეფექტით ხასიათდება წიწვოვანებილან დუგლასის სოჭი, ევროპული ნაძვი, ვეიმუტის ფიჭვი, შავი ფიჭვი, ზღვისპირის ფიჭვი და სხვა. არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს ხალხში კედარის სახელწილებით წოდებული, სინამდევილეში კი ციმბირის ხუთწიწვიანი ფიჭვი. მართალია, იგი სწრაფი ზრდა-განვითარებით არ ხასიათდება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი შეიძლება გაშენდეს მწირ და კლდიან ნიადაგებზედაც. ცოცხლობს 500 წლამდე და იძლევა მრავალი სახის კიტამინებით და საჭმელი

ზეთით მდიდარ თესლს, მის გაშენებას მწვანე, საკურორტო და დაცულობა ტყის ატეგორიის ტყებში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა მქნავს. საქართველოს ზოგიერთ აღგილებში გვხვდება აღნიშნული ფუჭები ვრცელი ლი ეგზემპლარები, რომლებიც გარდა იმისა, რომ იძლევა უფრო უფრო საკვებ პროდუქტს, ხასიათდება ორიგინალური ფორმის ვარჯით, მიმსიდველი სასიამოვნო წიწვების ფერით. ამ ჯიშისათვის დამახასიათებელ ვერტიკალურად და პორიზონტალურად გაშლილ ფესვთა სისტემას, ამავე დროს ექნება მაღალი ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი თვისებები. საჭიროა ამ შესანიშნავმა მაღალეფერიურმა ჯიშმა სათანადო გაერცელება პპოვოს საქართველოს მისთვის შესაფერის ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში.

ხელოვნურად გაშენებულ ტყის კულტურების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით შესაფერის პირობებში გაცილებით მეტი ფართობი უნდა დაეთმოს ევკალიპტს, ბაბბუქს, აგრეთვე ნაყოფის მომცემ მცენარეებს: მაჟალოს, პანტას, ტყემალს, შინდს, ზღმარტლს, კაკალს, თხილს, თუთას და სხვა ტყის ჯიშებს. აუცილებელია სატყეო მეურნეობებმა შექმნას ტყებაღები, სადაც გარკვეული შეთანაწყობით უნდა გაშენდეს ნაყოფმსხმოიარე ტყის ჯიშები. მოქმედი ნორმატივებით ჩვენ მიერ შედგენილი ტექნოლოგიურ-ეკონომიკური გაანგარიშებები, ნათლად ადასტურებენ ტყებაღების დიდ ეკონომიკურ ეფექტს. აღსანიშნავია ისიც, რომ ტყებაღებს გარკვეული სასაჩვებლო როლის შესრულება შეუძლიათ სკეპ მიერ შემუშავებულ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. იგი ქვეყანას მიაწვდის არა მარტო მაღალკვებითი ნივთერებებით მდიდარ პროდუქტს. არამედ ამ პროდუქტების დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება აგრეთვე მრავალი სახის დაავადებათა სამკურნალოდაც. ჩვენი ტყეების მწარმებლობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლების მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე სწრაფმზარდ, ძვირფასი ტყის ჯიშებისაგან სამრეწველო დანიშნულების ტყის მასივების გაშენებას. ევკალიპტებისაგან, სეჭვოიასაგან, შავი და ზოვისპირის ფიჭვისაგან, ვეიმუტის ფიჭვისაგან, ჭანდარისაგან, ვერხვებისაგან და სხვა სწრაფმზარდ ჯიშებისაგან შესაფერის აღვილებზე უნდა გაშენდეს სამრეწველო დანიშნულების ტყის მასივები, სადაც უნდა მოეწყოს მუდმივისარგებლობის პრინციპებზე დამყრებული ანტენიური სამეურნეო ნაწილები.

რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების პროდუქტიულობის მაჩვენებლებს ძალზე ამცირებს 0,3 სიმშირის 107,3 ათასი ჰა ტყე, 0,4 სიმშირის 354,2 ათასი ჰა ტყე, მეჩქერები (0,1—0,2) 53,7 ათასი ჰა, გელობები 24,1 ათასი ჰა. ტყით დაფარულ ფართობში შეტანილია აგრეთვე მარადმცვანე ჩვეტყე. რომლიდანაც შექრს უკავია 29,3 ათასი ჰა, წყავს—14,4 ათასი ჰა. ბუჩქარებს—56,0 ათასი ჰა. არც თუ ისე მცირე

ფართობი უკავია დაბალმწარმოებლობისა და დაბალფასიან შება, როგორიცაა ჭავჭავილა—36,6 ათასი ჰა და სხვა.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო¹ ზომები უნდა მიიღოს აღნიშნული დაბალმწარმოებლური ტექნიკურულ დუქტელული ფართობების რეკონსტრუქციისათვის. მათი წევდომითი წილის ტყის ფონდში შემცირებით და მათ აღგილზე მაღალპროდუქტიული ნარგაობების გეშენებით მკვეთრად გადიდდება რესპუბლიკის ტყეების სახალხომეურნეობრივი სარგებლობა და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

ლ ტ ე რ ა ტ უ რ ა — Литература

1. ქ. თარგამაძე, ე. ტატიშვილი, შ. აფუციაური. სურაფ-მზარდი ტყის ჯიშები და მათი გავრცელება საქართველოში. თბილისი, 1958.
2. Г. И. Редько. Продуктивность и рост быстрорастущих древесных пород в культурах. Л., 1974.
3. Основные положения по лесовосстановлению в государственном лесном фонде. СССР, М., 1969.

УДК 630 .22

ნ. გარემონტი შვილი გ. ავტორი

მუსიკის კოსმოგონია კვეთის უასთავების, ჭავაშის, გარამებისა და
აღიავნებული გარავანის აღგილობრივი სრადარობები რაგალა

კორომების სატაქსაციო ნიშნებს შორის ხაზობრივი კაშირი დიდი
ხანია ცნობილია. ასეთი დამოკიდებულების თეორიული დასაბუთება მო-
ცემულია ვაიზეს, აინგორნის, გერპარდტის, შიფელის, ორლოვის, ტრე-
ტიაკოვის, ნაუმენკოს, ტიურინის, ზახაროვის, დავიდოვის, ანუჩინის და
სხვათა მეცნიერულ შრომებში.

ამ თეორიაზეა აშენებული ტყის ტაქსაციაში კარგად ცნობილი სტან-
დარტული ტაბულა.

სტანდარტული ტაბულის თვეისებურება გამოიხატება მისი გამოყე-
ნების სიმარტივეში კორომების სისშირეებისა და მარაგების დასაღვენად
ტყის ტაქსაციის დროს.

ამიტომ ტყეომწყობაში ტყის ინვენტარიზაციის დროს სატყეო მე-
ურნეობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროფ.
ნ. ვ. ტრეტიაკოვის ხელმძღვანელობით შედგენილ (1,0 სისშირეში) სტა-
ნდარტულ ტაბულას ფართო გამოყენება აქვს.

სტანდარტული ტაბულის მეშვეობით შესრულებული სამუშაოები
გამოირჩევა საქმიად დიდი სიზუსტით, რაც განპირობებულია მისი
სტრუქტურის თვეისებურებით, რომელიც გამოიხატება კორომების სი-
მაღლის სატაქსაციო მაჩვენებლების მეტნაწილთან მჭიდრო კაშირები.

მაგრამ მასალა, რომელიც გამოყენებული იყო სატყეო მეურნეობის
ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ სტანდარტული
ტაბულის შესაბამისად, საქართველოს რიგი ტყის ჯიშების ზრდის ად-
გილსამყოფელის პირობებს არ პასუხობდა, რასაც ადასტურებს ზემოთ
დასახელებული ჯიშების კორომების ფართობის ერთეულზე ექსპერიმენ-
ტული მასალის ხაფუძველზე დადგენილი შერაგების ანალიზისა და შეფა-
სების შედევები. ამ უკანასკნელმა დაგვანახა, რომ ფართობის ერთეულზე

ნამდვილი მარაგების სიდიდეები 1,0 სიხშირეში მნიშვნელოვანი განსხვავდება ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის სტანდარტული ტაბულით გამოანგარიშებული მარაგების მაჩვენებლებისგან.

ეს გარემოება გახდა საბაბი ზოგიერთი ჩვენი ჯიშის მიზანის და მიზანის რიგი სტანდარტული ტაბულების შესაღენად. ჩვენ მჩერ ჟელგვალა, ისევე როგორც ეს სტანდარტულ ტაბულაში ნაჩვენები, მიზრილი კორომების მაჩვენებლები მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელია დავადგინოთ შესასწავლი კორომის წარმადობის ხარისხი მოცემულ პირობებში პოტენციურ შესაძლებლობასთან შედარებით.

სტანდარტული ტაბულის შესაღენად გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შედგენილი მურყნარების ზრდის მსელელობის ტაბულები.

მურყნარებში კვეთის ფართობების გამები (1 ჰა-ზე 1,0 სიხშირეში) გვიჩვენებს, რომ ისინი სწორხაზოვან დამოკიდებულებაშია სიმაღლესთან, რადგან პასუხობს სწორის ტიპის $T=H_2+b$ განტოლებას, აღვილობრივი სტანდარტული ტაბულის გამოყენების წესი ჩვეულებრივია. მისი მეშვეობით ვაწარმოებთ შესატყვის ჯიშებიდან შედგენილ კორომის (ან როცა ის რთულია, მისი ნაწილის ელემენტის თაობის, იარუსის) მარაგის განსაზღვრას და საჭიროებისამებრ კორექტირებას ეიზუალური ტაქსაციის დროს. ამისათვის წინასწარ ვადგენთ კორომის (ან თაობის, იარუსის) გაბატონებულ ჯიშს, მის საშუალო სიმაღლეს და ფართობით სიხშირეს, შემდეგ ტაბულაში ნაჩვენებ მარაგს, რომელიც შესწავლილი კორომის (ან თაობის, იარუსის) სიმაღლის შესატყვისია, ვამრავლებთ მის ეიზუალურად განსაზღვრულ ფაქტიურ სიჩქირეში და კლებულობით კორომის ტყის ელემენტის მარაგს. კორომის ან იარუსის, თაობის ეიზუალური სიხშირისა და საშუალო სიმაღლის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ მისი კვეთის ფართობის სიდიდეც.

ამ უკანასკნელის და აგრეთვე მარაგის განსაზღვრის სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად იყო ეიზუალურად დადგენილი კორომის (ან მისი ნაწილის — ელემენტის, თაობის, იარუსის) სიმაღლე და სიხშირე.

სტანდარტული ტაბულა გამოიყენება აგრეთვე სანიმუშო ფართობზე მუშაობის დროსაც კორომის (ან მისი ნაწილის — ელემენტის თაობის, იარუსის) მარაგისა და სიხშირის განსაზღვრისათვის. აქ ხევას გაღაოვლისა და გაზომვის შედეგად მიღებული კვეთის ფართობების გამი, გამრავლებული სტანდარტულ ტაბულაში აღნიშნულ შესატყვის ელემენტარულ მარაგზე გვაძლევს სანიმუშო ფართობზე კორომის (ან მისი ნაწილის — ელემენტის თაობის, იარუსის) მარაგს. ხოლო იგივე კვეთის ფართობების გამი, გაყოფილი სტანდარტულ ტაბულაში აღნიშნულ შე-

სატუვის კვეთის ფართობის ჭამზე, გვაძლევს სანიმუშო ფართობის კორომის ან ელემენტის იარუსის, თაობის ფარდობით სიხშირეს.

კორომების მარაგების და კვეთის ფართობების ჭამები 1 ჰა-ზე 1,0 სიხშირეში მათ სიმაღლესთან კავშირში გამოსახული გვაძებული მიხედვით ბის მიხედვითაც, ამიტომ რიგი საკითხების ამოხსნა, ბურჯირებს, ტესტებს ლებელია მოყვანილი ფორმულების მეშვეობით.

მოგვყავს სტანდარტული ტაბულისა და ფორმულების გამოყენების მაგალითები:

ვთქვათ, სანიმუშო ფართობზე მურყნარში, რომლის სიმაღლე $H = 15$ მ და კვეთის ფართობების ჭამი $G = 18,3 \text{ მ}^2$, უნდა დავადგინოთ მარაგი M : და სიხშირე P .

ამ შემთხვევაში, ტაბულის მიხედვით, ელემენტარული მარაგი = = 7,85 მ³. მაშასადამე, ჩვენი მურყნარის მარაგი $M = GHF =$

$$= 18,3 \cdot 7,85 = 144 \text{ მ}^3, \text{ ხოლო მისი სიხშირე } P = \frac{G_1}{G} = \frac{18,3}{24,7} = = 0,74 \text{ რადგან ტაბულის მიხედვით ამ შემთხვევაში } G = 24,7 \text{ მ}^2.$$

ტყიდან მერქნით სარგებლობას საფუძვლად უნდა ედოს „მუღმიერი თანაბარი სარგებლობის პრინციპი“, რომლის განხორციელებაც მოა-

შურყინის კორომის კვეთის ფართობების, მარაგებისა და ელემენტარული მარაგების სტანდარტული ტაბულა

სიმაღლე (H) (მ)	კვეთის ტემპერატურა (ტ) (°C)	გარება (M) (მ ³)	ელემენტის მარაგი (G) (მ ²)	სიმაღლე (H) (მ)	კვეთის ტემპერატურა (ტ) (°C)	გარება (M) (მ ³)	ელემენტის მარაგი (G) (მ ²)
10	18,2	104	5,71	17	27,3	230	8,42
11	19,5	121	6,21	18	28,6	247	8,64
12	20,8	140	6,73	19	29,9	266	8,90
13	22,1	158	7,15	20	31,2	284	9,10
14	23,4	176	7,52	21	32,5	302	9,26
15	24,7	194	7,85	22	33,8	321	9,50
16	26,0	212	8,16	23	35,1	340	9,69

თხოვს მეცნიერულად დასაბუთებული წესების შემუშავებასა და განხორციელებას.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 1 (123), 1982

УДК 630° 765 . 815 . 5.

ლ. გვარავა, გ. ჯაფარიძე

რეკაფეზის გამოცემის სახურაოთა ორგანიზაციისა და კომისიის სამსახურის
საქართველოს მთაბორისა და კიბრისა და განხორცი-
ელებას.

ტყიდან მერქნით სარგებლობას საფუძვლად უნდა ედოს „მუდმივი
თანაბარი სარგებლობის პრინციპი“, რომლის განხორციელებაც მოით-
ხვეს მეცნიერულად დასაბუთებული წესების შემუშავებასა და განხორცი-
ელებას.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ სათანადო
ორგანოებთან შეთანხმებით 1980 წელს გამოცემულ იქნა ახალი, გადამუ-
შავებული „ტყის კრის წესები“, რომელშიც დასაბუთებულია თუ რა სა-
ხის მთავარი სარგებლობის კრის ჩატარება შეიძლება საქართველოს მთა-
გორიანი რელიეფის ტყეებში. მასში მოცემულია აგრეთვე, რა რაოდენო-
ბის ხე-ტყე შეიძლება დამზადდეს ამ მიზნით გამოყოფილი ტყის ფართობის
ერთეულზე ტყის მდგომარეობისა და სხვა მრავალი სამეურნეო ფაქტო-
რის გათვალისწინებით.

მრიგად, ტყის კრის წესები მიუთითებს. თუ რომელი კატეგორიას
ტყის ფართობებზე, რა რაოდენობით და რა სახით განხორციელდეს მთა-
ვარი სარგებლობის კრა, ხოლო ტყეეაფების გამოყოფის სამუშაოთა ორ-
განიზაცია ევალება სატყეოს უფროსებსა და მათ მთადგილებებს. ტყის კრის
სისტემებისა და სარგებლობის ოდენობის განსაზღვრა, უთუოდ, დიდი
სამეურნეო ლონისძიებაა, მაგრამ იგი არაფერს არ მოგვცემს, თუ მას არ
ექნება სათანადო, მეცნიერულად დასაბუთებული ტყეეაფების გამოყო-
ფისა და მისი ათვისების სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფილი ტექ-
ნოლოგია. ამ უკანასკნელის მოთხოვნათა ზუსტი დაუცველობა იწვევს სა-
ქართველოს მთავარიანი რელიეფის ტყეებში. „ტყის კრის წესების“, და-
რღვევას და, აქედან გამომდინარე, ტყიდან მერქნით სარგებლობის მოუ-
წესრიგებლობას. რაც მომავალში ნაცვლად ინტენსიური სარგებლობისა,
ეჭსტენისური სარგებლობისაკენ გვიპიძებს და პროგრესული წარმოების

ნაცვლად რეგრესული წარმოებისაკენ მივყავართ. ეს იქიდანაც ნათელია ჩანს, რომ საქართველოს ტყეებში მერქნით სარგებლობა უკანასკნელი ხანებში საგრძნობლად შემცირდა, თუმცა ეს შეიძლება იმითაც აისახოს. რომ შეიცვალა ჭრის წესების მოთხოვნები — გაიზარდა მთავარი ტერიტორიაზე კრების ხნოვანებები და სხვა. ეს მოსაზრება, ცხადია, დრეკისამცემის უფრო რით, მაგრამ ტყის იმ ფართობებზე, სადაც ტარდებოდა მთავარი სარგებლობა, ჭრის ხნოვანების გაზრდის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს შეალედური სარგებლობით. რაც ხე-ტყის დამზადების საერთო მაჩვენებლის მოცულობას ბევრად ვერ შეცვლის. გარდა ამისა, ის ფართობები, რომლებიც მთავარი სარგებლობის გაანგარიშებიდან დღეს ამოვარდა, ჭრის ხნოვანების შეცვლის გამო, მომავალში ისევ უნდა ჩადგეს ამ გაანგარიშებაში და ჭრის საერთო ოდენობა ისევ უნდა გაიზარდოს. აქედან ვამომდინარე, ეს საფუძველი ჭრის შემცირებისათვის მოკლებულია შეცნიერულ დასაბუთებას და ტყის სარგებლობის ხელოვნურად შემცირება, ვამოიწვევს მომავალში ამ ტყეების სამეურნეო მდგრადირების გაუარესებას. მისი ტექნიკური თვისებების დაკარგვას, თუ რაიმე სამეურნეო ღონისძიება არ გატარდა, რასაც მოპყვება სხვადასხვა სახის ფიტო-და ენტო-მავნებლების გავრცელება და სხვა მრავალი.

მთავარი მარტო ის კი არაა, ტყეში ბევრს მოვჭრით თუ ცოტს, არა-მედ ის, თუ როგორ მოვჭრით და რა შედეგს მივიღებთ ჭრის ჩატარების შემდგომ, ეს უკანასკნელი კი, უშუალოდ დამოკიდებულია ხე-ტყის დამზადების ტექნიკოგიური პროცესის წარმოების ღონეზე. რაც ჩვენს პირობებში დღეისათვის ძალიან დაბალია.

